ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 ივნისი 2007 №128 (3051) ფასი 50 თეთრი


# ნასვრეტი



## ტოპმიოლერი შეშინებულმა საქართველომ შეაშინა გაბრაზებით!



# 0:1

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ოსერი. 6 ივნისი. 23 საათი. აბე დეშანი. 23 467 მაყურებელი

### საფრანგეთი 1:0 საქართველო

| 1:0 ნასრი (33) | |
|---|---|
| საფრანგეთი: ლანდრო, კლერკი, ტურამი, გალასი, აბიდალი, მაკელელე, ტულალანი, რიბერი (გოვუ 90), ნასრი, მალუდა (ჟ. სისე 66), ანელკა (ბენზემა 90) *სათადარიგონი: ფრეი; ესკუდე, ლ. დიარა* მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი | საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, სალუქვაძე (მუჯირი 12), ლვინიანიძე, კანკავა (შაშიაშვილი 90), ელიავა (მარცვალაძე 63), ბურდული, კვირკველია, ა. იაშვილი *სათადარიგონი: ჭანტურია; გ. ონიანი* მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი |
| გაფრთხილება: ხიზანიშვილი (25), კანკავა (55) | |
| მსაჯები: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატიშტა; ჟოზე მანუელ სილვა კარდინალი, ჟოაუ ფერეირა დუშ სანტუში; ჟოაუ ფრანსისკო ლოპეს ფერეირა (ყველა პორტუგალია) | |
| უეფას დელეგატი: უილიამ ატლი (ირლანდია) | |



ფრანკ რიბერის შეჩერება დიდი პრობლემა იყო

AFP

# ნუ გეშინიათ!



კახა კალაძე ერთ-ერთი გამორჩეული იყო

AFP



სამირ ნასრი ქართულ ალყაში

AFP



*კობა ინასარიძე ოსერიდან*

**ასეთი** თამაშის მიმოხილვა გვ-არიანად ძნელი საქმეა. ჩვენები პი-რწმინდად რომ დამარცხებულიყვ-ნენ, ან ქულები რომ წაერთმიათ ფრანგებისთვის, მიმოხილვა იოლი დასაწერი იქნებოდა, ასეთ თამაშზე კი, რა ვთქვათ...

ჩვენი მეტოქის ძალაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს, ის კი სათქმელ-ია, რომ კლაუს ტოპმიოლერს განა-ცხადში ორი ცარიელი ადგილი და-რჩა — 18 ფეხბურთელი ვერ შეაგრ-ოვა. ამ დროს კი ლაშა სალუქვაძე უკვე მე-12 წუთზე შეცვლას ითხ-ოვს და გამოდის. ისედაც მწირი არჩევანის მქონე მწვრთნელს შეცვ-ლების თვალსაზრისით ხელ-ფეხი სულ მთლად ეკვრება...

პირველ ტაიმში ფრანგები მაგრად კი გვაწვებოდნენ, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, საგოლე მომენტებით აგვიკლესო. მეორე ტაიმში კი მას-პინძლებს ნაღდი მომენტი, ფაქტობ-რივად, არც ჰქონიათ, ერთი ეგ იყო, ბოლო წუთებზე ჯიბრილ სისემ დაურტყა გიორგი ლომაიას ძლიე-რად და სახიფათოდ.

სისე ვახსენეთ და, ტრიბუნები თამაშის დაწყებიდან მოყოლებული მის შეყვანას ითხოვდნენ, რადგან სისე თავის დროზე სწორედ „ოსერ-ში" თამაშობდა, აქაურთა ჯილა იყო და რაიმონ დომენეკიც, ბოლოს და ბოლოს, გულშემატკივართა სურვ-ილს დაჰყვა.

სი-სე, სი-სე-ს ძახილში კი იმავ ტრიბუნებს ერთი ო-ლა-ლაც აღმო-ხდათ. ეს მაშინ იყო, ოთარ მარცვ-ალაძემ ფრანგი მცველისგან რომ მიიღო ბურთი და საქართველოს ნაკრებს ერთადერთი რეალური მომ-ენტი შეექმნა. უფრო სწორად, შე-იძლებოდა, მწვავე მომენტი შექმნ-ილიყო, მაგრამ ქართველმა თავდამ-სხმელმა ბურთი ისევ ფრანგებს გა-დააბარა.

ეგ ერთი მომენტი იყო, თორემ ფრანგი გულშემატკივრები მეტად არ აღელვებულან, მათ მწვრთნელზე კი იგივეს ვერ ვიტყვით. მთელი მეორე ტაიმი დომენეკი თავისიანებს უფრო აქტიური შეტევისკენ მოუ-წოდებდა და ამის გათვალისწინე-ბით, ვერც იმას ვიტყვით, გოლი რომ გაიტანეს, ფრანგებმა მეორე ტაიმში იმიტომ იაქტიურეს შედარ-ებით ნაკლებადო.

შესვენების მერე მსოფლიოს ვი-ცე-ჩემპიონთა იერიშები ნაკლებ მწ-ვავე რომ იყო, უფრო იმის ბრალ-ია, რომ ტოპმიოლერმა თავისი ფე-ხბურთელები უფრო წინ აწია და თავის საჯარიმოსთან ძალიან ჩამ-ჯდრები აღარ იყვნენ.

სხვათა შორის, ტოპმიოლერი ლა-მის მთელი თამაში სათადარიგო მს-აჯის სამეურვეო იყო, რადგან არბ-იტრის გადაწყვეტილებებმა ჩვენი ნაკრების მწვრთნელი რამდენჯერმე წყობიდან გამოიყვანა და ერთი-ორ-ჯერ ტოპმიოლერმა დომენეკსაც შე-ულრინა. თუმცა ეს თამაშის დროს, ნამატჩევს კი ორივე ნაკრების მწვ-რთნელი გვერდიგვერდ იდგა და საკუ-თარსაც და მეტოქის ფეხბურთე-ლებსაც საქებარ სიტყვებს ეუბნე-ბოდა.

უშუალოდ სათამაშო ეპიზოდები რომ გავიხსენოთ, პირველი სახი-ფათო იერიში ფრანგებმა მე-6 წუ-თზე წამოიწყეს, როცა ჩვენებმა ბუ-რთი ვერ ამოიტანეს და ბოლოს კახა კალაძემ განმუხტა ვითარება ფეხებში ვარდნით. კალაძემ, ვინაც ლიტვასთან მატჩის მსგავსად ამჯე-რადაც ძალიან მაღალ დონეზე ითა-მაშა, რამდენიმე წუთში სამირ ნას-რის დაუფარა, ცოტა ხანში კი კა-რისკენ მიმავალი ბურთი მოიგერია.

მომდევნო მომენტი ფრანკ რიბერ-იმ შექმნა, საუკეთესო პასით ნიკ-ოლა ანელკას ტოვებდა მეკარესთან პირსპირ, მაგრამ ანელკამ ბურთი ვერ დაიმორჩილა.

თუმცა მოსახდენი მაინც მოხდა — რიბერიმ ფლანგიდან ჩააწოდა, ბურთმა მათე ლვინიანიძეს ფეხზე გაჰკრა და პირდაპირ ნასრის მიუ-ვიდა, ჯაბა კანკავამ დაფარება ვერ მოასწრო და საფრანგეთის ნაკრებ-ში მესამედ მოთამაშე ნასრიმ გამა-რჯვების გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში, როგორც აღვნი-შნეთ, ფრანგები ნაკლებ სახიფათოდ გვიტევდნენ, თუმცა ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ — ფლანგიდან ჩვენს საჯარიმოში ჩაწოდებულ ბუ-რთს ანელკამ არაზუსტად დაარტ-ყა, არადა, იმ მომენტში ორ ფრანგ თავდამსხმელს ოთხი ქართველი მც-ველი მეურვეობდა და მათი სწო-რი თამაშისას ბურთი ფრანგს ვერ უნდა მიეღო...

კლაუს ტოპმიოლერი: დღეს საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ. ფრანგები ძალიან სწრაფები და ტექნიკურები არიან. მათ ალალად ეკუთვნოდათ მოგება. ჩვენი უმთავრესი პრობლემა ფეხბუ-რთელთა არასაკმარისი კვალიფიკაციაა. როცა ფეხბურთელები რუსეთის, უკრაინის და სხვა ასეთი ქვეყნების ჩემპიონატებში თამაშობენ, მათი დონე სანაკრებო დონეს აღარ შეესაბამება...

...ფრანკ რიბერი წარმოუდგენლად ძლიერია. ჩემებს თამაშამდე არაერთხელ ვუთხარი, რომ მას სივრცე არ უნდა მივცეთ. პირველ ტაიმში ეს დავალება არ შესრულდა. მეორეში კი, შედარებით კარგად გავართვით თავი...

...შესვენებაზე ბიჭებს ძალიან გავუბრაზდი. მათ მეტოქის არ უნდა შეშინებოდათ და ვურჩიე, უფრო თავისუფლად ეთამაშათ. არ მესმოდა, რატომ ეშინოდათ ფრანგების. კარგი იყო ის, რომ მეორე ნახევარში თამაში შედარებით გამოვასწორეთ და ბიჭებს იმხელა დაძაბულობა და ნერვიულობა აღარ ეტყობოდათ. რაც შეეხება ჩვენს ერთადერთ რეალურ მომენტს, ოთარ მარცვალაძეს ოდნავ მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, გოლს აუცილე-ბლად გავიტანდით...

ლევან კობიაშვილი: თავიდან საფრანგეთს ზედმეტი მორიდებით ვეთამაშეთ. ტრიბუნი-დან ისე ჩანდა, თითქოს მეტოქის გვეშინოდა. მეორე ტაიმში სიტუაცია კი გამოსწორდა, მაგრამ ეს ასეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ საკმარისი არ გამოდგა.

კახა კალაძე: ჩვენი პრობლემა არც ცუდი პირობებია, არც მწვრთნელი და არც სხვა რამ. პრობლემა ერთადერთია: ფეხბურთელების დეფიციტი. სამწუხაროდ, ნაკრების წევრთა საშუალო დონე ძალიან დაბალია. ჩვენი ზოგიერთი ლეგიონერის კლუბები და ქვეყნების ჩემპიონატები მაღალი დონის არ არის და, ბუნებრივია, ეს ნაკრებსაც ეტყობა.

საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ მეკარე ნუკრი რევიშვილი გუშინ საფრანგეთში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლიტვა-საფრანგეთთან შეხვედრებისთვის შეკრებაზე გამოძახებულმა ტრავმა მიიღო და ნაკრები დატოვა.
ფეხის მკურნალობა რევიშვილმა თბილისში დაიწყო, თუმც დღეს უკვე ყაზანში წავიდა.
რუსეთში გამგზავრებამდე რევიშვილი რედაქციაში ვისტუმრეთ და სანაკრებო თუ საკლუბო ამბებზე ვესაუბრეთ...

# ეტყობა, რაღაც კიდევ გვაკლია

## ნუკრი რევიშვილმა ლიტვაში არველაძე და ასათიანი დაინახა



— ფეხი ჯერ კიდევ შარშან ვიტკინე, ძვალი მქონდა დაჟეჟილი, ნაკრებში გამოძახებამდე ორი კვირით ადრე შემახსენა თავი, მაგრამ მაინც ჩამოვედი, იქნებ თამაში შევძლო-მეთქი, თუმც მეორე ვარჯიშზე ტკივილმა იმატა და აღარ გავრისკე. ექიმებმაც მითხრეს, ათი დღე მაინც უნდა დავისვენო. ახლა მკურნალობას ყაზანში გავაგრძელებ.

— სავიზო პრობლემა არ გაქვს?

— არანაირი პრობლემა არ არის. ფეხბურთელებს იქვე გვიგვარებენ ამ საკითხს, საქართველოში ჩამოსვლა და უკან დაბრუნება არ გვიწევს. საერთოდ, ამ მხრივ ნორმალური სიტუაციაა. სხვაგან არ ვიცი, მაგრამ ყაზანში ქართველებს დიდ პატივს გვცემენ.

— „რუბინში“ ორი მატჩი ძირითადში ითამაშე, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ისევ სათადარიგოთა სკამზე მოგიწია დაჯდომამ...

— მესამე მატჩიც უნდა მეთამაშა „როსტოვთან“, მაგრამ ბედი არ გინდა? ზუსტად თამაშის დღეს ტემპერატურამ ამიწია. კოლინკო კი იმ თამაშში, რომ იტყვიან, გაგიჟდა, მერე ფორმა თანდათან აკრიფა და მწვრთნელიც ბოლომდე ენდობა. არადა, სეზონი სუსტად დაიწყო და ძირითადის კარგი შანსიც მქონდა... თუმც ჯერ ნახევარ სეზონზე მეტია დარჩენილი, ისევ ვიბრძოლებ ძირითადში მოსახვედრად, თანაც, ვატყობ, წლეულს უფრო მენდობიან. უთამაშებლობა კი ნაკრებშიც ხელს მიშლის...

— სეზონი სუსტად დაიწყეთ...

— ძლიერი მეტოქეებიც გვყავდა — ცსკა, „ლოკომოტივი“... თანდათან ვუმატებთ. „რუბინი“ ისევ იბრძოლებს მაღალი ადგილებისთვის, თანაც ინტერტოტოს თასზეც გამოვდივართ და იქაც გვინდა, კარგი შედეგი ვაჩვენოთ.

— ნაკრებზეც ვთქვათ. ლიტვასთან მატჩი ალბათ ტელევიზორში ნახე. რას იტყვი?

— შედეგების მხრივ, ამხანაგურ შეხვედრებში გუნდი უკეთ თამაშობს, ოფიციალურ მატჩებში კი რაღაც გვემართება. უკვე მერამდენე თამაშია — უკრაინა, შოტლანდია, ლიტვა — წასაგები არაფერი გვაქვს, მაგრამ მაინც ვმარცხდებით. არეული სიტუაცია რომ იყოს, კიდევ იტყოდა კაცი რამეს, მაგრამ ყველაფერი ნორმალურადაა და ბიჭებიც მეგობრულად ვართ. ვერაფრით ამიხსნია ასეთი უიღბლობა. ეტყობა, რაღაც გვაკლია. ეს მიზეზი ალბათ კლაუს ტოპმიოლერმა უნდა დაინახოს და მოაგვაროს.

— ჰო, მაგრამ, უკრაინასთან და შოტლანდიასთან გუნდი რაღაცას ჰგავდა, ლიტვასთან კი ღირებული საერთოდ არაფერი შეუქმნია...

— ბიჭებს მონდომება აკლდათ-მეთქი, ვერ ვიტყვი. ყველამ ჟინით ითამაშა, მაგრამ შეტევები რაღაც ერთხაზოვანი იყო. ნათლად გამოჩნდა, რამხელა ძალა ყოფილან გუნდისთვის შოთა არველაძე და მალხაზ ასათიანი. მახოს თამაში რომ არ შეეძლო, ცნობილი იყო, მაგრამ შოთას არყოფნაში სასურველი იქნებოდა, ცენტრფორვარდი გვყოლოდა. დემეტრაძეც და იაშვილიც მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათ ცენტრფორვარდობა არ შეუძლიათ, ვფიქრობ, ასეთ დროს მიხეილ აშვეთია გუნდს ძალიან წაადგებოდა. გოგიტა გოგუას არყოფნაც დაეტყო გუნდს. მოედნის ცენტრში და წინა ხაზზე ბურთის დამჭერი არ გვყავდა. კარგად მახსოვს ლიტვასთან 2000 წელს 4:0 მოგებული მატჩი. მაშინ გიორგი ქინქლაძემ, თემურ ქეცბაიამ და ალექსანდრე იაშვილმა მოიგეს თამაში. ბურთი ცენტრში ისე დაიჭირეს, მეტოქეს შანსი არ ჰქონდა. სწორედ ეს გვაკლდა ახლა.

— ალბათ ახალგაზრდული ნაკრების ესპანეთთან თამაშსაც დაესწარი, ასაკით ხომ შენც ამ ნაკრებში უნდა იყო. ამაზე რას იტყვი?

— სიმართლე გითხრათ, ასეთ კარგ თამაშს ნამდვილად არ ველოდი. იმის მიუხედავად, რომ ამ ნაკრებს აკლდნენ ჯაბა კანკავა, მათე ღვინიანიძე... მეც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი... საერთოდ, ესპანეთის ეროვნულ გუნდს უფრო უჭირს, თორემ ასაკობრივ ნაკრებებში ყოველთვის ერთ-ერთი უძლიერესნი არიან. მართლა დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. გოლიც მოულოდნელად გავიდა და ბოლო წამებზეც არ გაგვიმართლა, რეზო ბარაბაძეს უნდა გაეტანა... ვფიქრობ, ფრე ლოგიკური იქნებოდა. ასე ჯიგრიანად თუ ითამაშეს ბიჭებმა, ჯგუფიდან გასვლის შანსი ნამდვილად იქნება.

— ვის გამოარჩევდი?

— კარგად ითამაშა მეკარე ლორიამ, მაგრამ საუკეთესო ალბათ მაინც გურამ კაშია იყო. საერთოდაც, კარგი თაობაა. როგორც გავიგე, 19-წლამდელებსაც კარგად უთამაშიათ შოტლანდიაში. ერთია, ბოლო წუთის სინდრომი ვერა და ვერ მოვიცილეთ. პეტარ სეგრტიც კარგი მწვრთნელი ჩანს. ნაკრებს შეუძლია ამ თაობიდან კარგი შევსება მიიღოს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონმა ინტერტოტო მთაში დაიწყო და სად არის იონანიძე?

23 ივნისს „ზესტაფონი“ ინტერტოტოს გათამაშების პირველი ეტაპის მატჩს გამართავს ყაზახურ კუშტანაის „ტობოლთან“. პირველი თამაში ყაზახეთში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ „ტობოლი“ შარშან ყაზახეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა, მიმდინარე სეზონში კი უკეთ თამაშობს — 12 ტურში 23 ქულით მეორე ადგილზე არიან.

„ზესტაფონმა“ ევრომატჩისთვის მზადება უკვე დაიწყო — მესამე დღეა, იმერლები საწვრთნელ შეკრებას ბაკურიანში გადიან.

„ზესტაფონი“ ბაკურიანში სრული შემადგენლობით არ გამგზავრებულა, თუმც მათ გუშინ უკვე შეუერთდნენ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები, რომლებმაც ესპანეთის წინააღმდეგ ითამაშეს.

ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, გუნდთან არ არის გრიგოლ ჭანტურია, რომელიც ეროვნულ ნაკრებს ახლდა საფრანგეთში.

ბაკურიანში არ არიან ლეანდრო ტემპორინი, ბექა ნოზაძე და ზურაბ იონანიძეც. პირველ ორს კონტრაქტი დაუმთავრდა (კლუბი ლეანდროსთან ხელშეკრულებას აღარ გაანახლებს, ნოზაძის საკითხს კი განიხილავენ). რაც შეეხება იონანიძეს, როგორც ზესტაფონური კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, იონანიძეს კლუბის წინაშე დიდი დამსახურება აქვს, მას კონტრაქტი არ ამოწურვია და კლუბის ხელმძღვანელობაც ტრანსფერზე არ აყენებს. ხოლო თუ რატომ არ არის ამ წუთში იონა გუნდთან ერთად, უახლოეს დღეებში გაირკვევა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# geo_geo_fan@hotmail.com

# სამი ვარიანტი საფრანგეთისთვის

საფრანგეთთან მატჩის წინ წერილებს არც ველოდით. როგორც წესი, ქომაგები ნამატჩევს უფრო აქტიურობენ ხოლმე და ეს ალბათ ლოგიკურიცაა. თუმცა გუშინ ფოსტაში ერთი წერილი მაინც მივიღეთ და, ცხადია, ამ მონდომებულ გულშემატკივარს არ გავაწბილებთ და წერილსაც ვბეჭდავთ...

**GEORGE-GEO**: სალამი. მართალი გითხრათ, გაკვირვებული დავრჩი, თურმე ლიტვასთან ნაკრებს კარგად უთამაშია. აქამდე ვიცოდი, რომ კარგი თამაშის ფორმულაა — მონდომება, შეტევა, დარტყმა, გოლი... და მოგება. თუმცა ხანდახან კარგი თამაშის მიუხედავად, მოგების მაგივრად „ღირსეული“ წაგება შეგრჩება ხოლმე ხელში, მაგრამ გააჩნია, ვისთან და როგორ. ლიტვასთან კარგი თამაშის ტოპმიოლერისეული ფორმულა კი ასეთია — 3 დარტყმა (აქედან მხოლოდ ერთხელ კარში), ოხ, ეს ოხერი უიღბლობა, სუდია, პენალ... და წაგება.

ჩვენ შედეგი გვინდა, შედეგი! ქართველი გულშემატკივრები ისეთი მომთხოვნები აღარ ვართ, უფრო რეალისტები გავხდით და გრანდებთან უეჭველი სამი ქულის აღებას არ ვითხოვთ. ლიტვამ იტალიიდან ქულა წამოიღო, მაგრამ საკადრო პრობლემების გამო თუ სხვა მიზეზით, შაბათს ისე ითამაშა, რომ ყველაზე არაპრეტენზიული გულშემატკივარიც კი ჩვენი გუნდის მოგებაზე განაცხადებდა პრეტენზიას. თანაც, იტალიასთან თამაში არგუმენტი არ უნდა იყოს. ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, იტალიასთან თამაში ყველას გამოსდის, აგერ ფარერების მაგალითიც. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონები ეგენი არიან და...

ამ ბოლო დროს გახშირდა გამონათქვამები, რომ ტოპმიოლერმა კარგად ვერ აუღო ალღო სანაკრებო სპეციფიკას. ეს მოსაზრება ჭეშმარიტებისგან შორს არ უნდა იყოს. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საფრანგეთთან თამაშის წინ — ამჟამად ნაკრებში გამოძახებულებიდან მხოლოდ 17 ფეხბურთელს შეუძლია თამაში. აქედან 3 მეკარეა, 9 მცველი, 3 ნახევარმცველი და 2 თავდამსხმელი. კი ბატონო, კვირკველია მაინც ნახევარდაცვაში თამაშობს, ღვინიანიძეც თავისი კლუბის ბოლო მატჩებში შუა რგოლში ათამაშეს, ანაც კიდევ რომელიმე სხვა მცველს დაავალებ, თუ საჭირო იქნა, მაგრამ საამისოდ რატომ გაიხადა საქმე ტოპმიოლერმა? როდესაც ოთხი დღის ინტერვალით ორი მატჩი გაქვს ჩასატარებელი და წინასწარ იცი, რომ გამოძახებულთაგან რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ითამაშებს, რამდენიმემ კი, შეიძლება, ყვითელი ბარათი მიიღოს და შემდეგი თამაში გამოტოვოს, შე დალოცვილო, წაიყვანე შეკრებაზე 3-4 ფეხბურთელით მეტი. ნუთუ ასე დაგვაქცევდა ამასთან დაკავშირებული ხარჯები? ანაც მაკარიძე რომ დაიბარეს ფრანკფურტში, მეტი სხვა არც ერთ რგოლში არ გვჭირდებოდა გაძლიერება? თუ გამძლიერებელი ვერ იპოვეს? სანდრო იაშვილზე ბევრი ითქვა, კიდევ სხვებზე, მაგრამ ძალიან დამაინტერესა, ისეთი რა ქნა რატი წინამძღვრიშვილმა შოტლანდიაში, რომ აგრერიგად გააწბილა ტოპმიოლერი? ნაკრების ორი გოლიდან ერთი რომ მან გაიტანა?

ძალიან ბევრი კითხვა გამომივიდა, პასუხები კი არ ჩანს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საფრანგეთთან თამაშის წინ ძალიან ცუდი წინათგრძნობა მაქვს. ერთი ვარიანტია, იქნებ ფრანგებმა, აქაოდა, ისედაც ჯგუფის ლიდერები ვართ და გამგელებულებმა არ გვეთამაშონ. მეორე ვარიანტია, იქნებ იფიქრონ, ასეთ საქართველოს ცალი ფეხითაც მოვუგებთო და ყარაულის თოფივით გაგვივარდეს (ეგეთები დასჯილან). მესამე ვარიანტია (მე ყველაზე ძალიან ეს მომწონს), მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენმა ბიჭებმა ძვლები დადონ მინდორზე და ღირსეულად ითამაშონ, ხანდახან ცარიელ თავდადებასაც შეუძლია შედეგის მოტანა...

geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცი-ემოცია

## პეტარ სეგრტი ხალხისთვის და საქართველოსთვის!

რა დიდი განძია ნუგეში, რა კარგია, როდესაც გასაჭირში მყოფს თუნდაც მორალურად წაგეშველებიან... პეტარ სეგრტი ქართველი არაა, მაგრამ ხორვატია და საქართველო ერთ რამეში ნაღდად არ გაუყვია ერთმანეთს — ნაომარ-ნაწვალები ქვეყნის შვილებმა სწორედაც რომ იციან, რა არის გაჭირვება. რა თქმა უნდა, ყველა ხორვატი და ქართველი ასეთი არ არის, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი კი ნაღდად ასეთია. ხორვატ მწვრთნელს ესპანელ თანატოლებთან მატჩზე სასაუბროდ რომ დავუკავშირდით, თავის თანაშემწე გელა შეყილაძესთან ერთად ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში მიიჩქაროდა, სადაც ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი ბესიკ ჩიმაკაძე წევს — გეცოდინებათ, თბილისის „ამერის" 18 წლის თავდამსხმელმა ესპანელებთან თამაშის წინა დღეს მეკარე გიორგი ლორიასთან შეჯახებისას წვივი ორ ადგილზე მოიტეხა და ოპერაცია გაუკეთეს. სეგრტმა და შეყილაძემ იმ ავბედითი ვარჯიშის შემდეგაც ინახულეს ჩიმაკაძე და გუშინაც. ხორვატმა მწვრთნელმა შეგირდი დაამშვიდა და უთხრა, ვიცი, ეს რას ნიშნავს, 17 წლისა ვიყავი, მუდმივმა ტრავმებმა ფეხბურთისთვის თავი რომ დამენებებინა და წარმომიდგენია, რას გრძნობო. ამ კაცს ეტყობა, რომ ფანატიკურად უყვარს ფეხბურთი, ანთებული თვალებით და ჯიგრიანად გველაპარაკებოდა. გეგონებოდათ, აგერ ახლა, ჩვენ თვალწინ მიდის თამაში და სეგრტი მთლიანად ჩაბმულია ემოციებშიო...





ბადრი ქოთოლაშვილის ფოტოები

## თამაში, რომელიც ჩიმას ეძღვნებოდა...

— ესპანეთთან მატჩის ვიდეოფირსაც ნახავდით და ცივი გონებით უკეთ შეაფასებთ...

— ვფიქრობ, კარგად, ორგანიზებულად ვითამაშეთ და ძალიან ახლოს ვიყავით წარმატებასთან. ესპანელებს ძლიერი ფეხბურთელები და მაღალი დონის მწვრთნელი ჰყავთ. ყველანი, ვინც დღეს ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში არიან — იგივე რაული, ტორესი, ხავი — ინაკი საესის გაზრდილია. სამწუხაროდ, პატარა შეცდომისგან დიდი იმედგაცრუება მივიღეთ. აი, სწორედ ეს პატარა შეცდომაა, რომელიც მაღალი დონის გუნდთან წაგებად გიჯდება. მეკარე ლორიას ნაღდად არ ვკიცხავ, ის საუკეთესო იყო და ძალიან დაეხმარა გუნდს. ასევე ვერ გავაკრიტიკებ ბარაბაძეს იმ მომენტის გამოუყენებლობისთვის: ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ერთად ვიგებთ და ერთად ვაგებთ.

— მატჩის შემდეგ სინანულით აღნიშნეთ, ბოლო წუთზე გოლის გატანა ვერ ვისწავლეთო. ეს რისი ბრალია — ქართული მენტალიტეტის, გულგატეხილობის, დაღლილობის თუ...

— იმისთვის, რომ გაგიმართლოს, ბევრი უნდა იშრომო. ვერ ვიტყვი, ჯანი და გამძლეობა არ გვყოფნისმეთქი, თვითონ ფეხბურთელი უნდა იყოს ისე მომზადებული, რომ სულერთია, ესპანეთს ეთამაშება თუ მოლდოვას, გოლის წყურვილი უნდა კლავდეს. შეცდომებზე სწავლა — ესაა მთავარი და გუშინდელი პატარ-პატარა შეცდომები მომავალში აღარ უნდა გავიმეოროთ.

— ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები არა მარტო ჩვენს ჯგუფში, მსოფლიოშიც ერთ-ერთი უძლიერესია და არცაა გასაკვირი, რომ წავაგეთ, მაგრამ თუ გქონდათ ისეთი ტაქტიკური ხერხი, რითაც მარცხს ავიცილებდით?

— ჩვენი თამაში სისწრაფეზე იყო აგებული. კახელიშვილი და კობახიძე უნდა მომარაგებულიყვნენ პასებით, გამწვავებაც აქედან უნდა ყოფილიყო. სტანდარტული მდგომარეობებისაც დიდად გვეიმედებოდა, ამიტომაც ბიჭებს თამაშის წინ ვუთხარი, ინდივიდუალურ გარღვევებზე ხშირად წასულიყვნენ, რათა ჯარიმის უფლება მოეპოვებინათ. რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა: ჯერ ერთი, ესპანელები ფიზიკურად ლომებივით იყვნენ და მეორეც, აკი ვთქვი, კურიოზულ ვითარებაში გავუშვით ბურთი. გოლის მომენტში ისეთი თამაში მიდიოდა, ესპანელები უკვე ნერვიულობდნენ. ყვითელ ბარათებს იკიდებდნენ და ამის გამოყენება შეიძლებოდა. შეგვეძლო, არათუ 0:0 გვეთამაშა, შეტევაზე გადავსულიყავით და მოგვეგო.

— ესპანეთი ძლიერია და უპირატესობა ჰქონდა. პოლონეთთან და რუსეთთან შეუძლია ნაკრებს შემტევი ფეხბურთის თამაში?

— ყველა მატჩი მონდომებით უნდა ითამაშო, სული და გული უნდა ჩააქსოვო. იმედი მაქვს, ჯგუფის სხვა მატჩებში წარმატებებს მივაღწევთ. ესპანეთი კიდევ ბევრ გუნდს მოუგებს, ჩვენ მეორე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ. აგვისტოში პოლონეთთან სტუმრად გველის ერთ-ერთი გადამწყვეტი შეხვედრა. სხვათა შორის, საესმა, რომელსაც ვიცნობ, გაკვირვებულმა მითხრა, ქართველებზე არაფერი ვიცოდი, ყოჩაღ, ძალიან კარგი ბიჭები გყოლიათო. მე კი ვუპასუხე, არ ინერვიულოთ, ესპანეთში რომ ჩამოვალთ, უკეთეს თამაშს მაშინ გაჩვენებთ-მეთქი.

— პოლონეთთან თამაშისთვის როგორ მოემზადებით? ამ დროს ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებაა და შემადგენლობის შერჩევისას შეცდომის ალბათობაც დიდია...

— რამდენიმე ფეხბურთელს უკვე მივეცით დავალება. რა თქმა უნდა, ყველა მოთამაშეს ინდივიდუალურად უნდა მიუდგე, ზოგს სხვანაირი დავალება სჭირდება, ზოგს — სხვანაირი. ისინი კლუბებში კარგად მომზადებულნი უნდა იყვნენ, თორემ ნაკრებში თამაშის წინ ორი-სამი დღეა მოსამზადებლად და შეუძლებელია, რაიმე მნიშვნელოვნად შეცვალო.

— ამხანაგურ მატჩებს თუ გეგმავთ აგვისტომდე?

— ხანდახან კარგად დატვირთული ვარჯიში ჯობია ამხანაგურ მატჩს — ფეხბურთელებს ამ ვარჯიშებით თამაშს აწყურებ. მწვრთნელობის 24-წლიანი გამოცდილება მაქვს, აქედან 15-წლიანი პროფესიონალური სტაჟი და ვიცი, როგორ უნდა ვიმუშაო ახალგაზრდებთან ამა თუ იმ პერიოდში. მე არასოდეს მოვითხოვ ფეხბურთელისგან იმას, რაც ჩემი თავისთვის არ მომითხოვია, მაგრამ მთელ ჯიგარს და ემოციას ვდებ მატჩში. შეიძლება ისეც მოხდეს, წლები გავიდეს, ბიჭები დაღვინდნენ და იმდენად დაიზუთხონ ჩემი მითითებები, რომ სკამიდან წამოდგომა არც დამჭირდეს.

— ხომ არ ნანობთ, რომ ესპანეთთან ლევან ყენია ცოტა ადრე არ შეიყვანეთ მინდორზე?

— ყენია თავისი ნიჭით გამორჩეული ფეხბურთელია, მაგრამ ის ძალიან პატარაა და ნელ-ნელა უნდა შეეგუოს უფროსებთან თამაშს. ყენიას ოთხი-ხუთი წლით უფროსებთან სრულად თამაში ჯერ არ შეიძლება. ჩემთვის არსებობს ცნება — ფეხბურთელი. ბავშვებთან 12 წელი მიმუშავია და ვიცი, გადაწვის საშიშროება არსებობს. საერთოდაც, ერთის თქმა მინდა: ლამის მთელი საქართველო შემოვიარე, ვესწრებოდი მატჩებს, უამრავი ახალგაზრდა ვნახე და არ მაინტერესებს, ვის მდიდარი მამა ჰყავს და ასეთები... ჩემთვის მთავარია ფეხბურთელი!

— ესპანეთთან მატჩის შემდეგ რა უთხარით ფეხბურთელებს?

— ჯერ მეტოქეს მივულოცე გამარჯვება და მსაჯებსაც მადლობა გადავუხადე. ბიჭებს კი ვუთხარი, რომ მათი თამაში დასაფასებელია. არაფერია იმაზე კარგი, როცა გულშემატკივარი წაგების მერეც კი ტაშით გაცილებს მოედნიდან. ქომაგი მაშინ გისტვენს და გლანძღავს, როცა დაინახავს, რომ გულს არ დებ თამაშში. მატჩის წინ ბიჭები სწორედ გულშემატკივრებისკენ გავახედე — ხალხს უნდა აჩვენოთ, რომ მათთვის და მთელი საქართველოსთვის თამაშობთ-მეთქი. ძალიან კარგი ქომაგობა იყო, კმაყოფილი დავრჩი...

–და კიდევ, ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, თქვენი თანაგუნდელი ბესიკ ჩიმაკაძე ახლა საავადმყოფოში წევს, მოდით, ეს თამაში „ჩიმას" მივუძღვნათ-მეთქი.

— ხორვატიაში და საქართველოში ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელების გაზრდის პროცესს როგორ შეადარებდით?

— ხორვატია 12 წლით წინაა საქართველოზე, კომუნიზმის დანგრევას ხორვატიაშიც მოჰყვა ომი, მაგრამ ის მაინც შუაგული ევროპაა, ძლიერ სახელმწიფოებთან ახლოსაა. ხორვატიაში უფრო ბევრი მოედანია, თანაც როდესაც ნაკრების ვარსკვლავები აქტიურ კარიერას მორჩნენ, ბავშვთა და ახალგაზრდულ გუნდებში დასაქმდნენ. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ საქართველოში უფრო ბევრი ტალანტია, ვიდრე ხორვატიაში.

— ამ ზაფხულს რა გეგმები გაქვთ?

— ჰოლანდიაში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს დავესწრები, სადაც პოლონელებზე საჭირო ინფორმაციას მივიღებ. აქვე ვიტყვი, რომ პეტარ სეგრტს ძალიან უყვარს საქართველო, მაგრამ თავისი თანაშემწეების, გელა შეყილაძის, ოთარ გაბელიას, სერგო კოტრიკაძისა და ნაკრების თითოეული თანამშრომლის გარეშე ვერაფერს გააკეთებს — ჩვენ ერთად ვზრუნავთ ქართულ ფეხბურთზე!

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP

# შეხედეთ გადაკეთებულ ინგლისელებს!
## რა უნდა ველოსიპედიან კაცს სტადიონის სახურავზე?

**პატრიკ ვიეირამ** უეფას საფეხბურთო ხულიგნობის დამარცხება მოსთხოვა.

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა თასის ფინალმა, რომელიც აოენში გაიმართა, „ლივერპულის" ფანები კიდევ ერთხელ გამოაჩინა ჩხუბისთავებად და ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამაც ეს ინგლისური კლუბი კონტინენტის ყველაზე „ხიფათიან" კლუბად შერაცხა.

კაცმა რომ თქვას, რაც ათენში მოხდა, მეტად საინტერესო და ჭკუის სასწავლებელია: „ლივერპულის" ფანთა ერთმა ნაწილმა უბილეთოდ მოახერხა „ოლიმპიურ სტადიონზე" შეღწევა, რის შემდეგაც ადგილობრივმა პოლიციამ „ყურადღება გაათმაგა" და ნამდვილზე ნამდვილი ბილეთების მქონე ინგლისელები სარბიელზე საერთოდ არ შეუშვა. ბუნებრივია, ათენში ამის გარდა სხვაც ბევრი მოხდა, ლივერპულელმა ფანებმა ხულიგნობითაც კარგად იხულიგნეს, მაგრამ ინგლისელმა პოლიტიკოსებმა თავიანთი ხალხის და ღირსების დაცვის მიზნით სწორედ ამ ინციდენტს გაუსვეს და გამოუსვეს ხაზი.

და რა შუაშია ოდესღაც „არსენალში" ნათამაშევი „ინტერის" ფრანგი ფეხბურთელი? საქმე ის გახლავთ, რომ საფეხბურთო ხულიგნობა საერთაშორისო მოვლენაა და მხოლოდ „ლივერპულით" არ შემოიფარგლება. ვიეირა ამ ყველაფერს იტალიაში აწყდება და საკითხის თაობაზე თავისი აზრიც აქვს, თან ისეთი, ინგლისელთა გულს მალამოდ რომ ხვდება.

„ბოლო ორი წელიწადია, იტალიაში ვცხოვრობ და კარგად ვხედავ, ამ ქვეყანაში რაც ხდება. ჩემთვის გამოცანად რჩება, როგორ ახერხებენ იტალიელი ფანები სტადიონის სახურავზე ველოსიპედით ასვლას და თამაშის დროს იქ წრეების შემოვლას; გაუგებარია ისიც, თუ როგორ ახერხებს ეს ხალხი ტრიბუნაზე კონტრაბანდითა და სხვადასხვა იარაღით შესვლას. მე იტალიაში ინგლისიდან ჩავედი, სადაც სტადიონებზე ფეხბურთის წესებია გამეფებული და ტრიბუნებზე წესრიგს ყველა პატივს სცემს. დიახ, ინგლისში ცხრა წელიწადი გავატარე და ერთხელ არ მქონია უსიამოვნების საბაბი. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ელის ხალხი მაინც და მაინც ცუდ ამბავს, რათა პრობლემის გადაწყვეტაზე დაიწყონ მსჯელობა. განა ყველასთვის იმთავითვე ნათელი არ არის, რომ საქმე ცუდად მიდის? ყველამ იცის, რომ ფეხბურთში და მის გარშემო ბევრი რამ შესაცვლელია, მაგრამ თითს თითზე არავინ ადებს. გაიხსენეთ, რა ხდებოდა ინგლისში 15-20 წლის წინ და ნახეთ, სად არის ეს ქვეყანა დღეს. ეს ხომ დამაიმედებელია. ეს ხომ პირდაპირი დასტურია იმისა, რომ თუ სწორად მიდიხარ და სწორ ნაბიჯებს დგამ, ადამიანების მენტალიტეტს უკეთესობისკენ შეცვლი. ინგლისელების მენტალიტეტი დღეს მაშინდელთან შედარებით სხვანაირია და თუ ამის გაკეთება ინგლისში მოხერხდა, ესე იგი, ყველგან მოხერხდება. იტალია, ესპანეთი და საფრანგეთი პრობლემებით არის სავსე, ასე რომ, ვფიქრობ, დროა, რაღაც ნაბიჯები გადაიდგას. ზოგან კლუბები უნდა შეხვდნენ ფანებს, ზოგან ფეხბურთელები ელაპარაკონ და აუხსნან, როგორ გრძნობენ მოედანზე თავს, როდესაც ტრიბუნაზე რაღაც უსიამოვნო ხდება".

**ბაკუნა ძიდია**

# მეპიცე ლამპარდი
## მსუქანა ჩელსელს სიმსუქნე არ აშინებს



**ინგლისის** ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი პიცერიის გახსნას აპირებს.

ამან კიდევ უფრო მეტი სალაპარაკო მისცა ინგლისელ ფანთა საკმაოდ მოზრდილ ნაწილს, რომლებიც ფრენკს „მსუქანას" ეძახიან, თუმცა ლამპარდს ეს სულაც არ ანაღვლებს.

„ფრენკს ძალიან უყვარს პიცა. ის საკუთარ თავს უფლებას აძლევს, ჭამოს, რაც მოუნდება, რადგან ამის კომპენსაციას ვარჯიშით ახერხებს. თან მას საშუალება მიეცა, საკუთარი ბიზნესი წამოიწყოს" — უთხრა ბრიტანულ „სანს" ლამპარდის მეგობარმა.

**ძახა შალამბერიძე**

## პეშეირუ პანაში

**ბერძნული** „პანათინაიკოსის" მწვრთნელად პორტუგალიელი ჟოზე პეშეირუ დანიშნეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. 47 წლის პეშეირუმ ესპანელი ვიქტორ მუნიოსი შეცვალა, რომელიც იმიტომ მოხსნეს, რომ გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოაპოვებინა. „პანა" მესამე ადგილზე გავიდა და მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საბერძნეთის და ევროპის ერთ-ერთი სახელოვანი კლუბის მწვრთნელობა მანდეს — თქვა პეშეირუმ — „პანათინაიკოსი" ის გუნდია, რომელმაც ყოველ წელს ჯილდო უნდა მოიგოს. მას ჰყავს მილიონობით ფანი, ზურგს უმაგრებს მდიდარი ისტორია და თამაშობენ კარგი ფეხბურთელები. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ წარმატების მისაღწევად".

## კოსი საკა კონგოდან

**„ჰამბურგმა"** „დორტმუნდიდან" კონგოს ნაკრების ნახევარმცველი კოსი საკა იყიდა. 21 წლის ფეხბურთელმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და კლუბის მეორე შენაძენი გახდა მოჰამედ ზიდანის შემდეგ. ეგვიპტელი ფორვარდი ზიდანი „მაინციდან" ერთი კვირის წინ გადაიბირეს.

„ჰამბურგის" დარ პრესტიჟულ კლუბში გადასვლა ბედნიერებაა" — თქვა საკამ, რომელმაც გასულ სეზონში „დორტმუნდში" ექვსი მატჩი ითამაშა, ახალ გუნდში კი მეჰდი მაჰდავიკიას შეცვლის, ვისაც კონტრაქტი დაუსრულდა და წავიდა.

„კოსი ახალგაზრდაა, მაგრამ დიდი პოტენციალი აქვს" — მოკლედ განაცხადა „ჰამბურგის" მენეჯერმა დიტმარ ბაიერსდორფერმა.

## სმიტს კონტრაქტი დაუმალეს

**„მანჩესტერმა"** ალან სმიტს გამოუცხადა, რომ კონტრაქტს არ გაუხანგრძლივებენ. ეს კი ნიშნავს, რომ ფეხბურთელს რიგი დაუდგება. „ევერტონი", „ტოტენჰემი", „მიდლსბრო" და „ასტონ ვილა" ჩასაფრებულნი არიან.

26 წლის ფორვარდს „მანჩესტერში" ხელშეკრულების ამოწურვამდე (2009) სურდა დარჩენა, მაგრამ გაყიდვას უპირებენ. ინგლისის ჩემპიონმა უკვე დახარჯა 48 მილიონი ახალ ფეხბურთელებში (ჰარგრივსი, ნანი, ანდერსონი) და სმიტის გაყიდვით ფულის ნაწილის უკან დაბრუნებას ცდილობენ.

ფორვარდი სამი წლის წინ „ლიდსიდან" 7 მილიონ გირვანქად შეიძინეს და კვირაში 50 ათას გირვანქას უხდიან.

## დაკა-დაკა ვარჯიშზე

**„ვილიარეალის"** ფეხბურთელებმა, დიეგო ფორლანმა და მარკოს სენამ ვარჯიშზე ორწუთიანი ჩხუბი გამართეს. ფორლანმა სენას ფეხებში გამეტებით შემოარტყა და ბრაზილიელიც ეგრევე მუშტით გაიწია ურუგვაელისკენ. სანამ გააშველებდნენ, მოკრივეებმა რამდენჯერმე მოასწრეს ერთმანეთისთვის დარტყმა.

„ჩვენ ხვალ შევხვდებით, ვისაუბრებთ და პრობლემას მოვაგვარებთ" — თქვა ურუგვაელმა მუშტი-კრივის შემდეგ.

„ვილიარეალი" შაბათს „ბილბაოს" უმასპინძლებს.

## რიბერის დღეს მიუნხენში ელიან

**„მარსელის"** პრეზიდენტმა პაპე დიუფმა განაცხადა, რომ ფრანკ რიბერი „ბაიერნს" ხუთშაბათს, ანუ დღეს ჩააკითხავს.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველს მიუნხენური კლუბის ექიმები ჯანს შეუმოწმებენ, მერე კი კლუბის შეფები კონტრაქტს გაუფორმებენ.

## ბოდმერი შვებულებაში იყიდეს

**„ლილის"** ნახევარმცველი მეთიუ ბოდმერი „ლიონში" გადადის. საფრანგეთის ჩემპიონი დაახლოებით 5 მილიონ 500 ათას გირვანქას გადაიხდის. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ბოდმერი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემპიონატში და „ლიონს" შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მიაკითხავს.

„მეთიუ ისვენებს და მისი შეწუხება ახლა არ გვინდა" — თქვა ლიონელთა წარმომადგენელმა ბერნარ ლაკომბმა.

ჩემპიონების ახალმა მწვრთნელმა ალენ პერენმა კი განაცხადა, რომ „ლილიდან" კადერ კეიტას ყიდვაც უნდა. კოტდივუარელი ნახევარმცველი 13 მილიონ 500 ათასი ევრო ღირს და კლუბებს შორის მოლაპარაკება ფასის გამო გაჭიანურდა.

## ვან მარვიიკის დაბრუნება

**„ფეიენოორდმა"** დაადასტურა, რომ მწვრთნელად ბერტ ვან მარვიიკის დანიშვნა სურს და მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს.

55 წლის ბერტ ვან მარვიიკი 2000-2004 წლებში თავკაცობდა როტერდამულ კლუბს და უეფას თასიც მოაგებინა. ფინალში გერმანულ „დორტმუნდს" სძლიეს და სწორედ „დორტმუნდში" წავიდა მწვრთნელად 2004-ში, სადაც ვერაფერს მიაღწია და სამი თვის წინ გაათავისუფლეს.

„ფეიენოორდის" ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ვან მარვიიკთან მოლაპარაკება კარგად მიდის და შეთანხმებას ცოტაღა უკლია.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალვეში ჰილტონში ახსენეს

**12 მილიონ** გირვანქად შეფასებული დანიელ ალვეში, შესაძლოა, „ჩელსიმ“ იყიდოს. ლონდონურ კლუბს ყველაზე მეტად მარჯვენა მცველი უჭირს, „სევილიას“ ბრაზილიელი კი ამ პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. „სანის“ ცნობით, პარასკევს ლონდონის სასტუმრო „ჰილტონში“ „ჩელსის“ სპორტული დირექტორი ფრენკ არნესენი ალვეშის აგენტს შეხვდა და ფასზე ევაჭრა.

## სესკი: წავა და წავალ

**ესპანეთის** ნაკრებისა და „არსენალის“ ნახევარმცველმა სესკ ფაბრეგასმა თქვა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა გუნდიდან, თუ არსენ ვენგერი „მეთოფეებს“ მიატოვებს.

„ვენგერი თუ წასვლას გადაწყვეტს, თითქმის ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, მეც მას მივყვები — აღნიშნა სესკმა „მარკასთან“ საუბარში — „არსენალი“ მხოლოდ ვენგერთან ერთად წარმომიდგენია“.

## ჯერარდმა სასამართლოს მოუგო

**„ლივერპულის“** კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა სასამართლო მოუგო ბრიტანულ „სპორტ მეგეზინს“ და მორალურ ზიანს აინაზღაურებს. სტატიაში ეწერა, რომ ჯერარდი მადრიდის „რეალში“ გადადის, რადგან იმავე სასტუმროში უქირავებია ოთახი, სადაც რეალელთა პრეზიდენტი რამონ კალდერონი იყო. „სპორტ მეგეზინმა“ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში და ფეხბურთელს გირვანქებსაც გადაუხდის.

## იოსი ხუთი წლით

**„ვესტ ჰემის“** ნახევარმცველის, იოსი ბენაიუნის აგენტმა „ევროსპორტთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფეხბურთელი „ჩაქუჩებთან“ ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ბენაიუნი ქაღალდებზე ხელს რამდენიმე დღის შემდეგ მოაწერს, როცა ანდორა — ისრაელის მატჩის შემდეგ ლონდონში დაბრუნდება.

## პატო დასწრებაზეა

**„დეილი სტარის“** ცნობით, „ჩელსის“ ალეშანდრო პატოს ყიდვა უნდა. ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების და „ინტერნასიონალის“ ნიჭიერ ფორვარდს ძალიან აქებენ. ჩელსელების კონკურენტები კი მილანის „ინტერი“, „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ბენფიკა“ არიან.

## რანიერი როსის ჩაეჭიდა

**„მანჩესტერის“** იტალიელი ფორვარდი ჯუზეპე როსი, რომელიც „პარმაშია“ განათხოვრებული, შესაძლოა, „იუვენტუსში“ აღმოჩნდეს. როსი სეზონის მეორე ნახევარში მივიდა „პარმაში“ და 19 მატჩში 9 გოლი გაიტანა, რითაც გუნდს სერია A-ში დარჩენაში დაეხმარა.

## რეალი ბარსას ჩაუხტა

**„მარკას“** ცნობით, მადრიდის „რეალი“ „ბარსელონასა“ და „ლიონის“ ერიკ აბიდალის ტრანსფერში ჩაეჩხირა. ფრანგი მცველის ყიდვა ბარსელებს უნდათ და ოფიციალურადაც მიმართეს მის კლუბს, აბიდალში ხავიერ სავიოლას დაგითმობთო, მაგრამ „ლიონის“ პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას ეს სასაცილოდ არ ეყო.

ოლამ 20 მილიონი ევრო მოითხოვა და „რეალიც“ ამდენის გადახდას აპირებს. ტრანსფერი თუ შედგება, მადრიდელთა მარცხენა მცველი მარსელო „ესპანიოლში“ გადავა.

## შარიანი ტრანსფერი

**„მანჩესტერ სიტის“** თავქარიანი და შარისთავი ნახევარმცველი ჯოი ბარტონი „ნიუკასლში“ გადავიდა. 24 წლის ფეხბურთელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მისი შეძენა „ვესტ ჰემსაც“ უნდოდა, მაგრამ „კაჭკაჭებმა“, რომელთაც სემ ალარდაისი წვრთნის, უკეთესი პირობები შესთავაზეს.

შეგახსენებთ, რომ ბარტონი თანაგუნდელის ცემის გამო პრემიერლიგის დასრულებამდე გააგდეს „სიტიდან“.

## რეო-კოკერს ვილა ურჩევნია

**„სანის“** ცნობით, „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველი ნაიჯელ რეო-კოკერი „ასტონ ვილაში“ გადადის. ბირმინგემელები მის სანაცვლოდ შვიდ მილიონ გირვანქას იხდიან.

მიუხედავად იმისა, რომ „ჩაქუჩების“ კაპიტანს „ტოტენჰემი“ და „ნიუკასლიც“ ეპატიჟებიან, მან „ასტონ ვილა“ არჩია.

რეო-კოკერის გარდა კლუბს „აიაქსიდან“ უესლი სნეიდერის ყიდვაც უნდა. ასტონვილელების მწვრთნელი მარტინ ონილი ჰოლანდიის თასის ფინალს დაესწრო და აიაქსელის თამაში მოეწონა.

ამ გაზაფხულზე სნეიდერის თაობაზე „აიაქსს“ სამჯერ დაუკავშირდა „ვალენსია“ და უარი მიიღო.

## პატრიოტი კანუტი

**ესპანური** „სევილიას“ ფორვარდი ფრედერიკ კანუტი კლუბს დარჩენილ ორ ტურში აღარ დაეხმარება — მალელმა თავდამსხმელმა ნაკრებში წასვლა არჩია.

„მინდა, ჩემს ქვეყანას სიერა ლეონესთან მატჩში დავეხმარო. მართალია, კლუბსაც ვჭირდები, მაგრამ ნაკრები უმთავრესია“ — განაცხადა პატრიოტმა კანუტმა.

მალი აფრიკის ერთა თასის მეოთხედფინალში ხვდება სიერა ლეონეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დერბისწინა დერბი

## დე ლა პენია ბარსელონას ემუქრება

**ბარსელონურ დერბის წლეულს სხვანაირი დატვირთვა აქვს — თუ წინა სეზონში თანაქალაქელთა ომში ქულების აღებას უფრო „ესპანიოლი“ ესწრაფვოდა, ახლა გამარჯვება „ბარსას“ სჭირდება ჰაერივით. „რეალის“ მდევარ „ბარსელონას“ წაფორხილების უფლება არ აქვს და ეს „ესპანიოლმაც“ მშვენივრად იცის... თანაქალაქელთა დაპირისპირებამდე „სპორტი“ „ესპანიოლის“ ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ ბარსელონელ ივან დე ლა პენიას ესაუბრა...**



— რას იტყვით დერბიზე? „ბარსელონა“ ჩემპიონობისთვის იბრძვის, „ესპანიოლისთვის“ კი „კამპ ნოუზე“ მოგება უფრო მეტია, ვიდრე ღირსების საქმე...

— წასაგებად და თამაშის მეტოქისთვის ჩასაბარებლად მინდორზე არასოდეს გავსულვარ. ყველაფერი შეიძლება, მოხდეს, თუმც მოგებას ვეცდები, „ბარსელონასთან“ შეხვედრა იქნება ეს, სანტანდერის „რასინგთან“ თუ ვარჯიშზე ორმხრივი თამაში.

— მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ „ესპანიოლისა“ და კერძოდ, დე ლა პენიას მისამართით „კამპ ნოუზე“ უამრავის მზერა იქნება მიმართული...

— დიდი ხანია, რაც ფეხბურთში ვარ იმისთვის, რათა ყურადღების ცენტრში ყოფნამ ჩემზე ნეგატიურად არ იმოქმედოს. სხვათა კომენტარები ნაკლებად მაინტერესებს.

— სეზონის ბოლოსთვის „ბარსელონას“ თამაშს როგორ შეაფასებდით?

— „ბარსა“, ისევე, როგორც ყველა გუნდი, ადამიანებისგან შედგება, ისინი კი ხანგრძლივი შრომისა თუ ბრძოლის შემდეგ იღლებიან. „საწვავის“ ნაკლებობა აწუხებთ ბარსელონელებსაც.

— და „ესპანიოლი“?

— ჩვენი მიზანი დარჩენილ ორ ტურში ექვსი ქულის მოპოვებაა. ვალდებულნი ვართ, რომ ყველა მატჩი მოვიგოთ და ის არ განმეორდეს, რაც „ხეტაფესთან“ მოხდა. „უელვასთან“ უკვე დავამტკიცეთ, რაც შეგვიძლია და ამ გზით უნდა ვიაროთ. თუ, რა თქმა უნდა, წარმატების მიღწევა გვინდა...

— ოცდახუთი წელია, „ესპანიოლი“ „კამპ ნოუზე“ ვერ იგებს...

— „კამპ ნოუზე“ „ესპანიოლსაც“ უჭირს მოგება და მსოფლიოს ნებისმიერ გუნდსაც. ვიცი, რომ შაბათს რთული მატჩი გველის, მაგრამ მთავარია, მოედანზე საომრად გავიდეთ და ვნახოთ, რა მოხდება.

— რითი შეიძლება, „ესპანიოლმა“ „ბარსა“ გააკვირვოს?

— იმ ეფექტურობით, რომლითაც ჩვენი გუნდი მეტოქეებს ამ სეზონში აკვირვებდა. ცხადია, ბურთი მეტწილად „ბარსას“ ექნება, ამიტომ ჩვენ საგოლე მომენტები უნდა გამოვიყენოთ.

— დერბისწინა დღეებში ტელევიზიამ „ესპანიოლის“ ფეხბურთელები და პრეზიდენტი დანიელ სანჩეს ლიბრე სიტუაციის გამწვავებაში დაადანაშაულა. ამბობენ, რომ ესპანიოლელთა გამომწვევი გამოსვლების შემდეგ „კამპ ნოუზე“ შეიძლება, აგრესიულად დაგხვდნენ...

— მართალი გითხრათ, მომწონს, როდესაც დერბის წინ ვითარება იძაბება. რა არის ცუდი იმაში, თუ ვინმემ თამაშამდე განაცხადა, აუცილებლად ჩემი გუნდი მოიგებსო? ოღონდ ეს ყველაფერი აგრესიაში არ უნდა გადაიზარდოს, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს.

— ჩემპიონობის ფავორიტი ვინ არის?

— „რეალი“. მადრიდელები მარტო საკუთარ თავზე არიან დამოკიდებულნი.

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ტიმ კეჰილი

ნახევარმცველი

დაიბადა 1979 წლის 6 დეკემბერს სიდნეიში

სიმაღლე: 1,78 მეტრი

წონა: 68 კგ

კარიერა:

1996 წელი — „სიდნეი იუნაიტედი“,

1997-2004 წლები — „მილუოლი“ (217 მატჩი, 52 გოლი),

2004 წლიდან — „ევერტონი“ (83 მატჩი, 22 გოლი)

2004 წლიდან თამაშობს ავსტრალიის ნაკრებში (23 მატჩი, 11 გოლი)





## BUGATTI veyron

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 4,462 მეტრი

სიგანე: 1,998 მეტრი

სიმაღლე: 1,206 მეტრი

წონა: 1 888 კგ

ცილინდრი: 16

ძრავის კუბატურა: 8,0

მექანიკური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 407 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 2,5 წამში

ფასი: 1 450 000 დოლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ კვირას ფელიქს მაგათმა „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტს 2010 წლამდე მოაწერა ხელი. პარარელურად, მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი თავკაცი „ვოლფსბურგის“ სპორტულ დირექტორადაც იმუშავებს. ფელიქს მაგათს გერმანული „კიკერი“ ესაუბრა...



# როცა ფოლკსვაგენი გყავს, არ უნდა გაჩერდე, უნდა იარო

— ის, რომ „ვოლფსბურგში“ გადახვედით, ბევრისთვის მოულოდნელი იყო. გულახდილად გვითხარით, რამდენი ხანი დაგჭირდათ ამ გადაწყვეტილების მისაღებად?

— „ვოლფსბურგში“ გადასვლის შესაძლებლობა ჩემთვის თავიდანვე მიმზიდველი იყო. ისევ კონცერნთან დაკავშირება, როგორიც „ფოლკსვაგენია“, განსაკუთრებულია. ეს კი დიდი შესაძლებლობების პერსპექტივას იძლევა. ბუნდესლიგის სხვა წევრები ნამდვილად ბედნიერნი იქნებოდნენ, ასეთი შესაძლებლობები რომ ჰქონდეთ. ჩემს თვალში „ვოლფსბურგის“ მოდელი ძალიან წარმატებულია.

— რა თვალსაზრისით?

— შეხედეთ ინგლისს: იქ კლუბები ინვესტორებმა იყიდეს. დარწმუნებული ვარ, გერმანიაშიც ამ მიმართულებით წავა ტენდენცია.

— და კლუბის მენეჯერის თანამდებობაც წინ გადადგმული ნაბიჯია?

— საბოლოოდ ყველაფერი ორგანიზაციის საკითხია. ჩემი დაკვირვებით, „ვოლფსბურგში“ მდგომარეობა იმაზე რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, თუმცა, როცა ახალი ადამიანი იქ თავისი ახალი იდეებით მივა, ყველაფერი რადიკალურად შეიცვლება.

— არადა, „შტუტგარტიდან“ წამოსვლის შემდეგ თქვენ თქვით, რომ ასე ორ ადგილზე ერთად მუშაობა აღარ გსურთ...

— მაშინ მიხაროდა, რომ ორმაგ დატვირთვას თავი დავაღწიე და მართლაც არ მსურდა კვლავ ასე მუშაობა. მაგრამ ამ წუთისთვის ეს კლუბისთვის საუკეთესო გამოსავალია.

— თქვენს თავში სპორტულ დირექტორს უფრო ხედავთ თუ მწვრთნელს?

— ამაზე არ მიფიქრია. მე მწვრთნელი და მენეჯერი ვარ, მიზანი კი ცხადია: ჩვენ ქვემოთ აღარ უნდა ვიყოთ.

— ვან ბუიტენი, მაკაი, სანტა კრუზი, ანდრეასენი — კიდევ ვინ უნდა მოიყვანოთ გასაძლიერებლად?

— ჯერ იმ ხალხით ვარ დაკავებული, ვინც უკვე გვყავს. „ვოლფსბურგში“ უკვე არიან უკეთესი ფეხბურთელები, ვიდრე სხვა გუნდებში. პრობლემა ის იყო, რომ ერთსულოვნება არ არსებობდა. მე გუნდისთვის იმ სახის მიცემა მსურს, რომლის ეტაპობრივად გაძლიერებაც იქნება შესაძლებელი. მაგრამ ეს გზა საშინელება იქნება.

— ფინანსები, რომლებიც გუნდის გაძლიერებას შეაფერხებს, პრობლემა არ არის?

— ამას მე ძალიან დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდები. ვისაც ბევრი შესაძლებლობა აქვს, ის ბევრ შეცდომასაც უშვებს, მე კი შეცდომის დაშვება არ მსურს. ამიტომ ტრანსფერებამდე დროს ვიტოვებ. ჩვენ 25 კონტრაქტიანი ფეხბურთელი გვყავს და წნეხის ქვეშ ამიტომაც არ ვართ.

— ვინ იქნება თქვენი ასისტენტი?

— ამისთვისაც ცოტა დრო კიდევ მჭირდება. აქამდე დასახელებული ყველა გვარი ჯერჯერობით მხოლოდ ჭორია.

# მუსიკოსების ომი: კლოზე VS ფრინგსი



**მიროსლავ კლოზე** თანაკლუბელ ტორსტენ ფრინგსზე ნაწყენია — ფრინგსმა თქვა, „მირო“ „ვერდერიდან“ უნდა წავიდესო.

ბრემენელი „მუსიკოსების“ ფორვარდს მიუნხენის „ბაიერნი“ ეპატიჟება და თვეზე მეტია, გერმანული მედია ამ ტრანსფერზე წერს და ლაპარაკობს. ფრინგსი დარწმუნებულია, რომ კლოზეს „ბაიერნში“ გადასვლა უნდა და პრანჭიაობით ვერდერელ თანაგუნდელებს ნერვებს უშლის. „ბაიერნთან“ საიდუმლო მოლაპარაკების (მაისის დასაწყისში) შემდეგ „მირომ“ ბოდიში მოუხადა კლუბსაც და ქომაგებსაც, მაგრამ სეზონის ბოლოს ეტყობოდა, რომ აჭრილი იყო.

„ვინც ფრინგსს იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ მას დღეში ცხრა პარასკევი აქვს. დილით ერთს ამბობს, საღამოს კი საპირისპიროს ამტკიცებს. როცა ტორსტენს ტურინის „იუვენტუსი“ ეპატიჟებოდა, მე ხმა არ ამომიღია და მისგანაც იგივეს ველოდი“ — თქვა მიროსლავ კლოზემ.

გუშინწინ კი სლოვაკებთან მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ფრინგსმა განაცხადა: „ფეხბურთელი, რომელიც უკმაყოფილოა გუნდში ყოფნით, ხელს უშლის მთელ გუნდს. „მიროსთან“ პრობლემები არ მაქვს და არ მაინტერესებს, რა უთხრა მედიას ჩემზე“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სისე გვაინტერესებს

**„არსენალი“** დაინტერესდა ჯიბრილ სისეს ფასით, რომელიც „ლივერპულს“ ეკუთვნის და გასულ სეზონში „მარსელში“ იყო განათხოვრებული.

სისეს გაქირავების ვადა ამოეწურა, რაფაელ ბენიტესს მისი დაბრუნება არ უნდა, ხოლო „არსენალი“ ფორვარდს ეძებს, რადგან ტიერი ანრის წასვლა ჯერაც არ არის გამორიცხული.

ჯიბრილ სისეს ყიდვა „ბოლტონსაც“ სურს.

## ჩაფარი როზინა

**„ტორინოს“** ნახევარმცველის, ალესანდრო როზინას შეძენა „გლაზგო რეინჯერსს“ უნდა. შოტლანდიური „დეილი მეილის“ ცნობით, „ჩაფრებს“ „ჰიბერნიანიდან“ სკოტ ბრაუნის გადაბირება სურდათ, მაგრამ „სელტიკმა“ დაასწრო და ხელცარიელნი რომ არ დარჩნენ, ახლა ტორინოელს მიადგნენ.

როზინათი დაინტერესებულნი არიან „ჩელსი“, „ლივერპული“ და „არსენალიც“.

## ჯილა და ფული ეტოოში

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტის“ ვარაუდით, „მილანი“ სამუელ ეტოოს შეძენას აპირებს და ტრანსფერში, შესაძლოა, ალბერტო ჯილარდინო ჩართოს.

„შავ-წითლები“ „ბარსას“ სთავაზობენ ფულს და ფორვარდს, მაგრამ კატალონიელები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებენ კამერუნელს, თუ „არსენალიდან“ ტიერი ანრის შეძენას მოახერხებენ.

## ურბანი ლეგიას ჩაიბარებს

**პოლონეთის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი იან ურბანი მომავალ სეზონში ვარშავის „ლეგიას“ უთავკაცებს. იგი „ოსასუნაში“ ტექნიკური დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.

„შანსი მეძლევა კლუბში, რომელიც მუდამ ჯილდოების მოსაგებად იბრძვის — თქვა ურბანმა — მადლობელი ვარ „ოსასუნასი“, რადგან ეს გუნდი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა და არასოდეს დავივიწყებ“.

იან ურბანმა „ოსასუნაში“ 15 სეზონი გაატარა, შემდეგ სამწვრთნელო შტაბში იყო, ბოლოს კი კაბინეტში მოუნახეს საქმე.

## სიტიმ რამოსი გაამხილა

**„მანჩესტერ სიტი“** მწვრთნელს ეძებს და BBC-ის ცნობით, მთავარი კანდიდატი „სევილიას“ თავკაცი ხუანდე რამოსია.

სიტელებმა მაისში სტიუარტ პირსი გაათავისუფლეს, შემდეგ კლაუდიო რანიერის ეპატიჟებოდნენ, მაგრამ იტალიელმა „იუვენტუსს“ მიაშურა და მანჩესტერული კლუბი ახლა უკვე რამოსის გადაბირებას ეცდება.

## ბანიდეს წასვლა რიკარდოს მისვლაა

**„მონაკოს“** მწვრთნელი ლორან ბანიდე გაათავისუფლეს. ამის შესახებ კლუბთან დაახლოებულმა პირმა განაცხადა, თვითონ „მონაკოს“ კი ოფიციალურად არ დაუდასტურებია.

ამბობენ, რომ მის ნაცვლად „ბორდოს“ თავკაც რიკარდოს დანიშნავენ. ლორან ბანიდემ გუნდი 2006 წლის ოქტომბერში ლასლო ბოლონისგან ჩაიბარა, რიკარდოს კი „ბორდოსთან“ კიდევ ორი წლით აკავშირებს კონტრაქტი და მონაკოელებს მის გამოსასყიდად ფულის გადახდა მოუწევთ.

## პაპა სტამბოლში დაბრუნდა

**„გალათასარაის“** მწვრთნელად კარლ-ჰაინც ფელდკამპი დანიშნეს. 73 წლის გერმანელს ავადმყოფობის გამო ბოლო რვა წლის განმავლობაში არ უმუშავია, მაგრამ ერთ-ერთ თურქულ სააგენტოსთან განაცხადა: „ექიმმა მუშაობის ნება დამრთო. ახლა უკვე ჯანზე ვარ და მწვრთნელობა მომენატრა“.

ფელდკამპმა არ გაამხილა, რა ვადიანი კონტრაქტი გააფორმა, გაზეთ „ჰურიეთის“ ცნობით კი, ხელშეკრულება ორწლიანია.

ფელდკამპი „გალას“ 1992-93 წლებში თავკაცობდა და ჩემპიონი გახდა. მოგვიანებით, 1998-99 წლებში კი „ბეშიქთაშშიც“ იგივეს მიაღწია.

გერმანელმა „გალათასარაიში“ ბელგიელი ერიკ გერეტსი შეცვალა, რომელმაც გასულ სეზონში გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა და ამიტომაც გაათავისუფლეს.

## მჭამელები სასტუმროში

**ანდორასთან** მოგებული მატჩის შემდეგ რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა სასტუმრო „ნევსკი პალასში“ (სანკტ პეტერბურგში) ექვსი ათასი დოლარი დახარჯეს.

სასტუმროში შესვლამდე, ნომრებში ბიჭებს მინი-ბარები დაუკეტეს, თამაშის მერე კი გახარებულებმა და დაღლილებმა ბარების გახსნა მოითხოვეს და ერთიანად ჩაუშვეს კუჭში ლუდი, ჩიპსი, თხილი, კოკა თუ ფანტა.

ზოგიერთმა რესტორანში კერძებიც კი შეუკვეთა და ნომერში მადიანად ივახშმა.

ყველაზე მეტი მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა დახარჯა — 1000 დოლარამდე გადაიხადა, რადგან ჰოლანდიელს მეუღლე და მეგობრები ახლდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასწინათ, უფრო ზუსტად კი, 23 მაისს, ათენის ოლიმპიურ სტადიონზე, „მილანმა" „ლივერპულს" რომ სძლია და ჩემპიონთა თასს დაეუფლა, მატჩის გმირად კაკა გამოცხადდა. მართლაც, ბრაზილიელმა ვარსკვლავმა მილანელთა ორივე გოლი შექმნა, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ მის გარდა თავი სხვა შავ-წითლებმაც გამოიჩინეს და მათ შორის საგანგებო ადგილი უჭირავს ნახევარმცველს, რომლის შესახებაც ამასწინათ მიცემულ ინტერვიუში თავად კაკამ ასე თქვა: „ჩვენი გუნდისთვის კლარენსის თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მას შეუძლია ყველაფერი, რაც მოედანზე ხდება, უმაღლეს დონეზე აიყვანოს. ის შეუდარებელი გახლდათ მეოთხედფინალში „ბაიერნის" წინააღმდეგ, ხოლო ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან", უბრალოდ, ფანტასტიკური იყო. ამის გაკეთება მხოლოდ დიდ ფეხბურთელებს შეუძლიათ".

მაშ ასე, იმ დღიდან, როდესაც სურინამში დაბადებულმა ყმაწვილმა ამსტერდამის „აიაქსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში პირველად გაიმარჯვა, თორმეტი წელიწადი გავიდა და ამ თორმეტი წლის განმავლობაში კლარენს ზეედორფმა იმდენი შეძლო, რომ დღეს მთელი დედამიწის ფეხბურთელთაგან ერთადერთი გახლავთ, ვინც ეს ჯილდო სამი სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში მოიპოვა — „აიაქსი", „რეალი" და „მილანი". ამათგან, ზეედორფი „მილანში" უკვე მეორედ გახდა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. დღეს „შავ-წითელთა" შორის მასზე მეტჯერ ეს თასი მხოლოდ ლეგენდარულ კაპიტანს პაოლო მალდინის აქვს მოპოვებული.

და კიდევ, როგორც თავად ჰოლანდიელმა თქვა, ბოლო პერიოდში მისი ზეიმის მიზეზი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფი არ ყოფილა...



# ბევრი კარადის პატრონი

## დენზელამდე ერთი დღით ადრე

— როგორი გრძნობა დაგეუფლათ, ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ერთხელ რომ გაიმარჯვეთ?

— საოცარი, მით უფრო, რომ გასული სეზონი ჩვენთვის მეტად მძიმე იყო. ყველამ, ვინც „მილანთან" ასე თუ ისე დაკავშირებული გახლდათ, დიდი სამუშაო გასწია, რათა გუნდს მორიგი დიდი წარმატებისთვის მიეღწია და დღეს ჩვენს გარშემო სიხარულის ზღვაა. ალბათ, ამ ემოციათა დაცხრობას გარკვეული დრო დასჭირდება. როდესაც კარგად წარმოიდგენ, სად ჩავარდნილებმა რამ სიმაღლეზე შევძელით ასვლა, ხვდები, რომ ეს გამარჯვება მართლაც განსაკუთრებული იყო.

— ჩემპიონთა ლიგაში პირველად 19 წლისამ „აიაქსთან" ერთად გაიმარჯვეთ. იმ და დღევანდელ გამარჯვებებს ხომ არ შეადარებდით?

— ის ამბავი ახლა ისე შორს ჩანს... მერწმუნეთ, ჩემპიონთა ლიგაში ყოველი გამარჯვება განსხვავებული იყო, თუმცა მათი იოლად აღწერა ყოვლად შეუძლებელია. ჩემპიონთა თასის ალმართვა ადამიანში საგანგებო გრძნობას ბადებს. ეს თავად უნდა განიცადო, მოყოლით კი ვერავის მოუყვები.

— „ლივერპულთან" თამაში ალბათ ძალიან ძნელი იყო...

— მართლაც ძალიან ძნელი გახლდათ. იმ ფეხბურთით, რომელსაც „ლივერპული" თამაშობს, მეტად უხერხული მეტოქეა.

— რაფაელ ბენიტესს თქვენი გაუვნებელყოფა განსაკუთრებულ ამოცანად ჰქონდა დასახული. თავად თუ შეამჩნიეთ ეს?

— დიახ, შევამჩნიე. თანაგუნდელებს ჩემთვის ბურთის მოწოდება უჭირდათ, ძნელი მოსაძებნი ვიყავი. პირველივე წუთიდან ასეთი თამაში გაჩაღდა და მთელი მატჩის განმავლობაში არ მშორდებოდა შეგრძნება, რომ დანარჩენი გუნდისგან იზოლირებული ვიყავი. ამ თვალსაზრისით, „ლივერპულმა" დასახული გეგმა შეასრულა.

— თქვენ „ლივერპულის" წინააღმდეგ ადრეც გითამაშიათ. ამ და ზოგადად დიდ გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორ აფასებთ 23 მაისის ფინალს?

— ათენური ფინალი ნამდვილად არ გახლდათ ის, რასაც ხალხი ლამაზ სანახაობას ეძახის, ეს კი იმთავითვე კარგად ვიცოდით. „ლივერპულთან" მთელი მატჩის განმავლობაში ყურადღებით ყოფნა და არაფრის დათმობა გვმართებდა. ამასთან, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ თუ სიმშვიდე და სიფხიზლე არ გვიღალატებდა, ჩვენს წილ მომენტებსაც აუცილებლად შევქმნიდით. საბედნიეროდ, გოლი საუცხოო დროს, პირველი ტაიმის მიწურულს გავიტანეთ და ამან ფრიად შეგვიწყო ხელი.

— ეთანხმებით იმ აზრს, რომ პირველ გოლში „მილანს" გაუმართლა?

— დიახ, მაგრამ „ლივერპულის" დარ კერკეტ კაკლებთან თამაშის დროს გამართლება მისასალმებელია. ამ ტიპის გუნდების გატეხვა ხომ მეტად ძნელი საქმეა. მე ძალიან გამიხარდა, მეტოქის წინააღმდეგობა საჯარიმო დარტყმით რომ დავძლიეთ.

— „მილანის" ორივე გოლის ავტორი ფილიპო ინძაგი, წლებია, საოცარ შედეგებს აღწევს. როგორ ახერხებს ამას?

— ინძაგი მრავალი წელიწადია, საჭირო დროს საჭირო ადგილას ახერხებს დგომას და ამიტომ მის წარმატებებს იღბალს ვერ მივაწერთ. ძალიან მიხარია, ფინალში ორი გოლი რომ გაიტანა.

— კაკა „მილანისთვის" ყოველთვის საკვანძო ფიგურა გახლდათ, მაგრამ ამ სეზონში მისი როლი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაიზარდა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ამ სეზონში კაკამ ჩვენზე წინ, ფაქტობრივად, თავდასხმაში ითამაშა და საკმაოდ ბევრ შეხვედრაში თამაშის ბედიც გადაწყვიტა. დახედეთ მის შედეგს, ის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირია და, მე თუ მკითხავთ, „ოქროს ბურთის" ლაურეატობას იმსახურებს. ამასთან, მერწმუნეთ, ეს ჯერ მისი მაქსიმუმი არ არის.

— თქვენს შესახებაც გვითხარით. ამ სეზონში თქვენც ხომ ახალი ფუნქცია გქონდათ...

— როგორც იქნა, ველირსე ჩემს რჩეულ პოზიციაზე თამაშს: ცოტა წინ და უფრო შუაში, ორი თავდამსხმელის უკან. შედეგიც თქვენს წინაშეა: ათი გოლი, რაც ჩემი ღრმა რწმენით, მშვენიერია. ფიზიკურად თავს მშვენივრად ვგრძნობ, მწვრთნელიც მენდობა და კლუბსაც მაღალი მიზნები აქვს. იცით, როდესაც „მილანის" ფეხბურთელი ხარ, გზას ვერ აცდები.

— ასე და ამგვარად, თქვენ მეოთხედ მოიგეთ ჩემპიონთა თასი. ნუთუ ტრიუმფის შეგრძნებას არ შეეჩვიეთ? მეოთხე სიხარული მართლა შეიძლება პირველს გაუტოლდეს?

— ოთხივე საგანგებო და განსხვავებულია. დიახ, ახლანდელი წარმატება მეოთხეა, მაგრამ მაინც ვერ ვპოულობ სიტყვებს ჩემი გრძნობების გადმოსაცემად. თერთმეტი წელიწადია, ჩემპიონთა ლიგაში ვმონაწილეობ და თერთმეტიდან ოთხჯერ გავიმარჯვე. მგონი, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, არა?

— და სად მიგაქვთ ამდენი მედალი?

— კარადაში ვაწყობ.

— ალბათ, ძალიან ბევრი კარადა გაქვთ...

— სახლში ახალი კარადის ადგილი ყოველთვის გამოინახება. ყოველ შემთხვევაში, სხვები ასე მეუბნებიან.

— ოთხივე მედალი ერთნაირია?

— წლებია შეცვლილი და დიზაინში რალაც დეტალები, ძირითადად კი, ერთი და იგივეა.

— და, რამდენადაც ვიცით, ზეედორფების სახლში ჩემპიონთა ლიგის მოგება ზეიმის ერთადერთი მიზეზი არ არის. მგონი, კვლავ შვილს ელით...

— დიახ, და ეს ფანტასტიკურია.

*ინტერვიუს მეორე დღეს კი ქვეყნად დენზელ ზეედორფი გაჩნდა...*

# ზოგჯერ ლაპარაკს სჯობია, გაყიდო

## კივუ ინტერში გადადის



**იტალიური** პრესის ცნობით, სადაცაა, „ინტერი" „რომას" რუმინელ მცველ კრისტიან კივუს შეიძენს, რომელსაც, „იუვენტუსის", „მილანის", „რეალისა" და „ბარსელონას" დარად, დიდი ხანია, ეპატიჟება.

კივუს „რომასთან" მოქმედი კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. მის გახანგრძლივებას კი საშველი არაფრით დაადგა.

ამბობენ, რუმინელის აგენტი ვიქტორ ბექალი დედაქალაქელთა მმართველ როზელა სენსის შეხვდა, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენო. კივუს სეზონში 4,2 მილიონი ევრო მოუთხოვია, „რომა" კი მხოლოდ 2,5 მილიონზე ყოფილა თანახმა.

შესაბამისად, „გლადიატორებს" კივუს ახლავე გაყიდვა აძლევთ ხელს, ვიდრე მომავალ ზაფხულს მისი უფასოდ დაკარგვა.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ინფორმაციით, „ინტერი" 26 წლის ფეხბურთელს ხუთწლიან კონტრაქტსა და სეზონში 3,8 მილიონ ევროს შეჰპირდა. „რომას" კი „ნერაძური" ფულსაც გადაუხდის და დავით პიზაროსაც დაუთმობსო.

რომაელებს კივუს წასვლის შემთხვევაში მის შემცვლელად უკვე შეგულებული ჰყოლიათ გერმანული „ლევერკუზენის" ბრაზილიელი ლეგიონერი სილვეირა ჟუანი და ვერდერელი პერ მერტესაკერი.

**კოკი ჭანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოკეტე და ითამაშე!

## იტალიამ პლატინის იქით შეუტია

**ფრანჩესკო ტოტის** ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, როდის და, საერთოდ, დაბრუნდეს თუ არა იტალიის ნაკრებში. ამის გამო მას კვლავ აკრიტიკებენ და კრიტიკოსთა შორის არის უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინიც.

ერთი, რაც ტოტიმ ნამდვილად იცის, ისაა, რომ ოპერაციას არ იკეთებს და მომავალ სეზონსაც ფეხში ჩადგმული ფირფიტით ჩაატარებს. არადა, აქამდე ამბობდა, სანამ ამ ფირფიტას არ მოვიცილებ, ნაკრებში არ დავბრუნდებიო.

„ოპერაციას არ გავიკეთებ. მინდა, არდადეგები ჩემს ოჯახთან ერთად გავატარო. გასულ სეზონში 50 მატჩი ჩავატარე და ჩემს პირობებში ეს ადვილი არ იყო. თუმცა მაინც შევძელი კარგად თამაში და ახლა დასვენება მჭირდება. რაც შეეხება ნაკრებს, ივლისში ლუიჯი რივას დავურეკავ, „სკუადრა აძურას" მისი საშუალებით ვეკონტაქტები ხოლმე, და ვეტყვი, თუ როგორ ვგრძნობ თავს და რა გეგმები მაქვს. ვფიქრობ, სექტემბერში საფრანგეთთან და უკრაინასთან მნიშვნელოვანი მატჩებისთვის მზად ვიქნები" — განაცხადა ტოტიმ.

იტალიის ნაკრების ბანაკში ტოტის საქციელს ზოგი ნეიტრალურად უყურებს და „რომას" კაპიტანს იცავს, ზოგი კი — პირიქით.

„მათ, ვინც მუდამ ნაკრებთან ერთად ვართ, სხვანაირი გუნდური სული გვაქვს, ვიდრე იმათ, ვინც უფრო იშვიათად არის ნაკრებში. არ მინდა, არასწორად გამიგოთ და ამას არც დისკუსიის დასაწყებად ვამბობ, მაგრამ ვთვლი, რომ თუ „სკუადრა აძურა" გიყვარს, მისი ღირსების დაცვა ყველა მატჩში უნდა გინდოდეს და არა მხოლოდ მნიშვნელოვან შეხვედრებში. უბრალოდ, ეს ჩემი აზრია და არა ვინმეს კრიტიკა" — თქვა ჯანლუკა ძამბროტამ.

„არა მგონია, ფრანჩესკოს მარტო მნიშვნელოვან მატჩებში უნდოდეს ნაკრებში თამაში და სხვა შეხვედრებზე ცხვირს იბზუებდეს. ტოტი ბრწყინვალე ფორმაშია და ალბათ მალე ნაკრებშიც დაბრუნდება. ახლა მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, როდის გამოიძახებს მას" — ეს კი მარკო მატერაცის სიტყვებია.

მიშელ პლატინი: „გადაწყვეტილება იტალიის ნაკრების მწვრთნელის, რობერტო დონადონის მისაღებია, მაგრამ მის ადგილას მე რომ ვიყო, ნამდვილად დავურეკავდი ტოტის და ვეტყოდი — მოკეტე და ითამაშე! უარი თქვა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე, ეს პროფესიონალი ფეხბურთელისთვის გამორიცხულია. მე ფეხბურთელობისას ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია. ტოტი 30 წლისაა და, შესაძლოა, ყველა მატჩში მონაწილეობის მიღება ფიზიკურად აღარ შეუძლია, მაგრამ ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ჩვენთან, საფრანგეთში, თუ ვინმე უარს იტყვის გამოძახებაზე, დისკვალიფიკაციით ისჯება. ეს ფიფას წესია".

საქმე ისაა, რომ ტოტის დისკვალიფიკაციით ვერ დასჯიან, რადგან ამის ოფიციალური საფუძველი არ არსებობს. „სკუადრა აძურასა" და „რომას" ერთ-ერთმა ლიდერმა მუნდიალის მერე განაცხადა, ნაკრებში გარკვეული ხანი აღარ ვითამაშებო. ოფიციალურად კი ტოტის გამოძახებაზე უარი არ უთქვამს.

პლატინის კრიტიკულ განცხადებას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ჯანკარლო აბეტეს არანაკლებ მკაცრი პასუხი მოჰყვა:

„როგორც ვხედები, პლატინი თავის კანდიდატურას გვთავაზობს იტალიის ნაკრების მწვრთნელად, თუმცა ამ პოსტზე ჯერჯერობით რობერტო დონადონია და გადაწყვეტილებებსაც ის იღებს, მათ შორის, ტოტის თაობაზეც. „სკუადრა აძურადან" არავინ გარბის და გამოძახებას თავს არავინ არიდებს. ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე სამაგალითო ნაკრები გვყავს".

და ბოლოს, ისევ ტოტი: „არდადეგების ოჯახთან ერთად მშვიდად გატარებას ვაპირებ და ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემს გარშემო ამხელა აურზაურია ატეხილი. ვფიქრობ, ნაკრებს ერთგულება უკვე არაერთხელ, განსაკუთრებით კი შარშან დავუმტკიცე. ჩემი გადაწყვეტილებები ყოველთვის ფიზიკური ფორმისგან მოდის და თამაშზე უარს იმიტომ არ ვამბობ ხოლმე, რომ დროის კარგად გატარება მინდა. ახლა მთავარია, „სკუადრა აძურამ" სწორი გზით სვლა გააგრძელოს. ტოტისთან ერთად თუ მის გარეშე, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. როცა არდადეგებიდან დავბრუნდები, დონადონის და რივას დაველაპარაკები, გადაწყვეტილებასაც ერთად მივიღებთ".

**გიორგი ქაქაბაძე**

# ნოველინო იქ მივიდა, საიდანაც დაიწყო

**ტურინის** „ტორინოს" მთავარ მწვრთნელად ვალტერ ნოველინო დაინიშნა. მან ჯიოვანი დე ბიაზი შეცვალა. თავად ნოველინომ კი ცოტა ხნის წინ დატოვა გენუის „სამპდორია", სადაც ხუთი წელი გაატარა.



„გვინდა, სიამოვნებით გაცნობოთ, რომ კლუბმა შეთანხმებას მიაღწია ვალტერ ნოველინოსთან ორწლიანი კონტრაქტის თაობაზე. „ტორინოს" პრეზიდენტ ურბანო კაიროს გუნდის ახალი, გამოცდილი და ნიჭიერი მწვრთნელის ძალიან ეიმედება და მას წარმატებებს უსურვებს" — ნათქვამია „ტოროს" ოფიციალურ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის კარიერაში ნოველინოს დებიუტი სერია A-ში სწორედ „ტორინოში" შედგა. მწვრთნელობა კი მან „პერუჯაში" დაიწყო. ამას „გუალდო", „რავენა", „ვენეცია", „ნაპოლი", „პიაჩენცა" და „სამპდორია" მიჰყვნენ.

„ძალიან მიხარია, რომ ისეთი ტრადიციებისა და ისტორიის კლუბში მოვედი, როგორიც „ტორინოა". ჩვენ კარგი გუნდი გვყავს და ვეცდებით, მომავალი სეზონი მაქსიმალურად წარმატებულად ჩავატაროთ" — თქვა ნოველინომ.

**კოკი კანდელაკი**

# არაგონესმა, წავალო



**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელი ლუის არაგონესი ევრო 2008-ის დასრულების შემდეგ გადადგება. ცხადია, ეს იქამდეც მოხდება, თუ პირინეელები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდებიან.

„ფედერაციას უკვე ვუთხარი, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ წავალ და ჩემს შემცვლელზე იფიქრონ. ეს ლოგიკურიცაა. ამ ტურნირის მერე ესპანეთის ნაკრებს ახალი სამწვრთნელო შტაბი დასჭირდება" — აღნიშნა 68 წლის სპეციალისტმა.

შეგახსენებთ, რომ არაგონესმა ნაკრები 2004 წლის ივლისში ჩაიბარა, მან ინაკი საესი შეცვალა.

მისი მუშაობა არცთუ წარმატებული გამოდგა და გამოცდილ მწვრთნელს დღემდე ბევრი კრიტიკოსი ჰყავს.

არაგონესმა თქვა, თუ ესპანეთი 2006 წლის მუნდიალზე მეოთხედფინალში მაინც ვერ გავა, გადავდგებიო, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, გადადგომის თაობაზე განცხადება მოგვიანებით დაწერა, პირინეელთა ჩრდილოეთ ირლანდიასთან სენსაციური მარცხის შემდეგ. თუმცა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და არაგონესს წასვლა გადააფიქრებინა...

**კოკი კანდელაკი**

# კარლოსის თურქობა

**რობერტო კარლოსი** ოფიციალურად გახდა „ფენერბაჰჩეს" ფეხბურთელი. სტამბოლურმა კლუბმა თავის ვებგვერდზე გამოაცხადა, რომ „რეალის" მარცხენა მცველი გაისად თურქულ სუპერლიგაში ითამაშებს.

„რობერტოსთან მოლაპარაკება სულ 20 წუთს გაგრძელდა. ძირითად საკითხზე შევთანხმდით და ტრანსფერიც გავაფორმეთ. მომავალ სეზონში ბრაზილიელი ჩვენს კლუბში ითამაშებს" — განაცხადა „ფენერბაჰჩე ტი-ვი"-სთან ინტერვიუში თურქთა ვიცე-პრეზიდენტმა მურატ ოზაიდინლიმ.

თურქული მედიის ცნობით, ვეტერანი ბრაზილიელი „ფენერბაჰჩეში" მომავალი ორი სეზონის განმავლობაში დარჩება.

**ლადო ხომერიკი**



## ვალერი ფიქრობს

**ვალერი ბოჟინოვის** აგენტმა განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა ჯერ არ იცის, რომელ კლუბში ითამაშებს. „ფიორენტინადან" „იუვენტუსში" განათხოვრებულ ბულგარელ ფორვარდს ტურინელები აღარ დაიტოვებენ.

— „ფიორენტინას" შეფებს უნდა შევხვდეთ და გავარკვიოთ ფეხბურთელის მომავალი — თქვა აგენტმა ჯერი პალომბამ — შევიტყვეთ, რომ ფლორენციელებს ბოჟინოვის დაბრუნება უნდათ და ჯამპაოლო პაცინის („ფიორენტინას" ფორვარდი) ალტერნატივად განიხილავენ, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს".

## ჟულიენს რომაში ელიან

**„ბორდოს"** ნახევარმცველის, ჟულიენ ფობერის წარმომადგენელი „რომასთან" მოლაპარაკებას იწყებს, რომაელთა მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის გუნდის გაძლიერება უნდა და ძალიან მოსწონს 23 წლის ფრანგი, რომელსაც ბორდოელები 7 მილიონ გირვანქად აფასებენ. ფობერი კანის აკადემიის აღზრდილია, სადაც ზიდანი და ვიეირა გაიზარდნენ. მას ნახევარდაცვაში თუ დაცვაში ნებისმიერ ფლანგზე თამაში შეუძლია.

23 წლის ფეხბურთელი „ბორდოში" 2004-ში მივიდა და კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს.

## პუმპიდოს ნახტომი

**მსოფლიოს** ჩემპიონი, არგენტინის ნაკრების ყოფილი მეკარე ნერი პუმპიდო მექსიკური „ვერაკრუზის" მწვრთნელად დაინიშნეს. მან თანამემამულე პედრო მონსონი შეცვალა. პუმპიდო ადრე პარაგვაის „ოლიმპიას" თავკაცობდა და 2002 წელს ლიბერტადორესის თასიც მოიგო. მას „ნიუელზ ოლდ ბოისში" და მექსიკურ „ტიგრესშიც" უმუშავია...

**გაჟა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩები

**ბრაზილია 0:0 თურქეთი**

**ბრაზილია:** დონი, მაიკონი, ნალდო, ალექსი, მარსელო, ელანო (კაკა 60), ედმილსონი (ჟილბერტო 81), ჟოსუე, დიეგო (მინეირო 70), აფონსო ალვესი (ჟო 75), რობინიო (რონალდინიო 46)

**მწვრთნელი:** კარლოს დუნგა

**თურქეთი:** ჰაქანი, იბრაჰიმი, გოხანი, მ. აურელიო, თურანი (სერდარი 46), თუნჯაი (კარადენიზი 66), ემრე აშიქი, ჰამიტ ალტინტოპი, საბრი, უმითი (კაზიმ-რიჩარდსი 61), თუგაი (ბაშთურქი 10; სელჩუკი 75)

**მწვრთნელი:** ფათიჰ თერიმი

**მსაჯი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

26 700 მაყურებელი

**იამაიკა 0:1 ჩილე**

0:1 ლორკა (19)

**მექსიკა 0:1 პარაგვაი**

0:1 ო. კარდოზო (89)

**არგენტინა 4:3 ალჟირი**

1:0 ტევესი (23), 1:1 ა. აიალა (9), 1:2 ბუგუერა (42), 2:2 მესი (55პ), 3:2 კამბიასო (58), 4:2 მესი (74), 4:3 ბელმაჯი (75)

**კუვეიტი 1:1 პორტუგალია**

0:1 ჟოაუ ტომაში (72), 1:1 ლაშეები (88)

**იაპონია 0:0 კოლუმბია**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ბეტისი-ოსასუნა | 1.65 | 3.50 | 5.10 | 1.12 | 1.24 | 2.07 |
| 23:00 | 15 | ლევანტე-ვალენსია | 3.30 | 3.20 | 2.15 | 1.62 | 1.30 | 1.28 |
| 23:00 | 16 | ატლეტიკო-სელტა | 1.70 | 3.60 | 4.70 | 1.15 | 1.24 | 2.03 |
| 23:00 | 17 | სოსიედადი-რასინგი | 1.55 | 3.60 | 5.80 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 23:00 | 18 | სარაგოსა-რეალი | 4.60 | 3.50 | 1.70 | 1.98 | 1.24 | 1.14 |
| 23:00 | 19 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 23:00 | 20 | მალიორკა-სევილია | 5.20 | 3.70 | 1.60 | 2.16 | 1.22 | 1.11 |
| 23:00 | 21 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.65 | 3.60 | 5.00 | 1.13 | 1.24 | 2.09 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 13 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.42 | 4.00 | 7.50 | 1.04 | 1.19 | 2.60 |
| 19:00 | 14 | დეპორტივო-უელვა | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 22 | სიუდადი-ლას პალმასი | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 19:30 | 25 | ვეცინდარიო-მურსია | 2.80 | 3.10 | 2.35 | 1.47 | 1.27 | 1.33 |
| 20:00 | 27 | რეალი(ბ)-ალმერია | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| 20:30 | 29 | ელჩე-კასტელონი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 30 | ლორკა-ალავესი | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 31 | მალაგა -კადისი | 2.20 | 3.00 | 3.15 | 1.26 | 1.29 | 1.53 |
| 20:30 | 32 | ეხიდო-სპორტინგი | 2.10 | 3.00 | 3.35 | 1.23 | 1.29 | 1.58 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 23 | პონფერადინა-პოლიეხსი | 2.10 | 3.10 | 3.25 | 1.25 | 1.27 | 1.58 |
| 21:00 | 24 | ტენერიფე-სალამანკა | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 26 | სერესი-ნუმანსია | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:30 | 28 | ვალიადოლიდი-ალბასეტე | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | **ბელგია.პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 33 | ლიერსი-მეხელენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:30 | 34 | კორტრაიკი-ანტვერპენი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 45 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.40 | 1.25 | 1.25 | 1.70 |
| 21:00 | 235 | პიონეფოსი-მოსი | 2.20 | 3.40 | 2.90 | 1.33 | 1.25 | 1.56 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 52 | სოგნდალი-პამარი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 66 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.70 | 3.50 | 4.65 | 1.14 | 1.24 | 1.99 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 73 | ლაჰტი-ვპს | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 74 | პიკ-იარო | 1.55 | 3.60 | 5.80 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 19:30 | 75 | ვიკინგიტ-ტურკუ | 3.70 | 3.40 | 1.80 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 77 | ვალური-კეფლავიკი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 08:00 | 82 | კაშივა-ომია | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 09:00 | 83 | გამბა-იოკოჰამა ფკ | 1.22 | 4.90 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.28 |
| 10:00 | 84 | ნიიგატა-კობე | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 10:00 | 85 | ოიტა-კაშიმა | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 14:00 | 86 | იოკოჰამა ფმ-იჩიპარა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 14:00 | 87 | ნაგოია-კავასაკი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 09:00 | 88 | კოფუ-ივატა | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 11:00 | 89 | შიმიცუ-ტოკიო | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **აშშ. 7 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 92 | ჰიუსტონი-კოლორადო | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 93 | ჩიკაგო-ჩივასი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 94 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| | | **სამხრეთ ამერიკის სუპერ თასი** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 225 | ინტერნაციონალი(ბრა)-პაჩუკა(მექ) | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | **ოქროს თასი 2007 (აშშ)** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 230 | აშშ-გვატემალა | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 23:45 | 231 | ტრინიდადი და ტობაგო | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 237 | პანამა-ჰონდურასი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 23:45 | 238 | მექსიკა-კუბა | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| | | **ევ 2007 (21)** | | | | | | |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 247 | ჰოლანდია 21-ისრაელი 21 | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 22:45 | 248 | პორტუგალია 21-ბელგია 21 | 1.40 | 3.80 | 7.30 | 1.02 | 1.17 | 2.49 |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 249 | ჩეხეთი 21-ინგლისი 21 | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 22:45 | 250 | სერბეთი 21-იტალია 21 | 5.80 | 3.50 | 1.52 | 2.18 | 1.20 | 1.05 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 172 | ბოკა ხუნიორსი-კუკუტა | 1.33 | 4.20 | 7.50 | 1.01 | 1.12 | 2.69 |
| | | **ჩოგბურთი ქალები Roland Garros** | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 241 | შარაპოვა-ივანოვიჩი | 1.65 | 2.00 | | | | |
| 14:00 | 242 | ენენი-იანკოვიჩი | 1.30 | 3.00 | | | | |
| | | **ჩოგბურთი კაცები Roland Garros** | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 243 | ფედერერი-დავიდენკო | 1.11 | 5.00 | | | | |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.90 | 1.70 |
| 12234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.10 | 1.55 |
| 12235 | პიონეფოსი-მოსი | 2.10 | 1.55 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.70 | 1.90 |
| 13234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.50 | 2.10 |
| 13235 | პიონეფოსი-მოსი | 1.50 | 2.10 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.45 | 2.40 |
| 14234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.70 | 2.20 |
| 14235 | პიონეფოსი-მოსი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | პიონეფოსი-მოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ჟრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.24 | 3.60 |
| 16234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.40 | 2.55 |
| 16235 | პიონეფოსი-მოსი | 1.55 | 2.20 |

### გოლი:ლუწი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17235 | პიონეფოსი-მოსი | 1.85 | 1.95 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.15 | 2.10 | 5.10 | 1.06 | 1.51 | 1.48 |
| 10234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2.40 | 2.00 | 3.80 | 1.09 | 1.47 | 1.31 |
| 10235 | პიონეფოსი-მოსი | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11066 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11234 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11235 | პიონეფოსი-მოსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

აფროსნობა

# ორ კუნძულს — ნახევარკუნძული = 4:0-ს

**არაფერი** არ გამოსდის „ლუნა როსას". ლუი ვუტონის თასის ფინალში იტალიური იახტა აშკარად და ყველა პარამეტრით აგებს ახალზელანდიურ „თიმ ნიუ ზილენდთან". ანგარიში უკვე 4:0 გახლავთ კუნძულელთა სასარგებლოდ, საბოლოო გამარჯვება კი 5 მოგებამდეა. ასე რომ, ნახევარკუნძულელებს, კოლუმბი და სხვა გენუავენეციელი ნაოსნები რომ გაცოცხლდნენ, ალბათ ისინიც ვერ იხსნიან.

სამშაბათს „ნიუ ზილენდმა" მეოთხე გაჯიბრებაშიც დამაჯერებლად აჯობა „ლუნა როსას" და მათ ბრაზილიელ სტრატეგისტ ტორბენ გრაელს ბოლოს და ბოლოს აღიარებინა — მეტოქე აშკარად გვჯობნისო. „ჩვენ არ გვყავს ნელი ნავი, მაგრამ ის არც რაკეტაა — ამბობს გრაელი — ხვალ ვეცდებით, ჰაერის განსხვავებული ნაკადები გამოვიყენოთ და სხვა მხრიდან ვეძებოთ ხეირი. მაგრამ დღეს მინდა, ახალზელანდიელებს მივულოცო. ისინი ჩვენზე უკეთ ართმევენ საქმეს თავს და იმსახურებენ ამ გამარჯვებას".

იტალიურ ეკიპაჟს ახალბედა ნამდვილად არ ეთქმის, პირიქით, ძალიან გამოცდილია და სულ მოწინავეებშია. კიდევ ვახსენოთ, „ნიუ ზილენდთან" შეყრამდე ანუ ნახევარფინალში „ლუნა როსამ" გაცილებით დიდბიუჯეტიანი და საზოგადოდაც მძლავრი ამერიკული იახტა დაამარცხა, მაგრამ ფინალში გენუელებს თითქოს ნეპტუნის სამკბილა დაეცათო, საერთოდ არაფერი გამოსდით. საათნახევრიანი ცურვა მათ ახალზელანდიელებზე 52 წამით გვიან დაამთავრეს, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს მოწინაალმდეგის ნავდანავ მიცურავდნენ და გასწრებაც შეეძლოთ.

„თიმ ნიუ ზილენდი" კი სულ უფრო და უფრო უახლოვდება ლუი ვუტონის თასს, რაც რეალურად ამერიკის თასისთვის ბრძოლის საშუალებას მისცემს. „ლუნა როსას" დამარცხების შემდეგ ახალზელანდიელები ბრძოლაში გამოიწვევენ შვეიცარიულ „ალინგის", რომელმაც ოთხი წლის წინ ამერიკის თასი მათ 5:1 ძლევის შემდეგ აართვა.

**კოტე ყოჩშია**




AFP ფოტოსურათი

რაგბი

# შვიდკაცას განრიგი შეუდგინეს



**ამ უქმეებზე** ვაკეში, „მიხეილ მესხის“ სტადიონზე ევროპული სერიის საშვიდკაცო თბილისური ეტაპი რომ გაიმართება, ძველი ამბავია.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ სათბილისო შვიდკაცაზე ათი ნაკრები ირაგბებს, რომლებიც ორ ხუთგუნდა ჯგუფში გადანაწილდნენ. ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო გუნდი პლეი ოფში თასისთვის იბრძოლებს, ჯგუფში ჩარჩენილები კი დანარჩენ ადგილებს გაინაწილებენ.

A ჯგუფში ითამაშებენ: საფრანგეთი, უკრაინა, ბელგია, აზერბაიჯანი, ბულგარეთი.

B ჯგუფი: საქართველო, მოლდოვა, ლატვია, ისრაელი, საბერძნეთი.

როგორც ვთქვით, ტურნირი ამ შაბათ-კვირას „მიხეილ მესხზე“ გაიმართება. ორივე დღეს მატჩები დილის ათი საათიდან დაიწყება. ტურნირის განრიგი კი ასეთია:

### ჯგუფური ეტაპი

9 ივნისი. შაბათი

ბულგარეთი — საფრანგეთი
საქართველო — საბერძნეთი
უკრაინა — ბელგია
მოლდოვა — ლატვია
საფრანგეთი — აზერბაიჯანი
საქართველო — ისრაელი
უკრაინა — ბულგარეთი
მოლდოვა — საბერძნეთი
ბელგია — აზერბაიჯანი
ლატვია — ისრაელი
საფრანგეთი — უკრაინა
საქართველო — მოლდოვა
ბელგია — ბულგარეთი
ლატვია — საბერძნეთი
უკრაინა — აზერბაიჯანი
მოლდოვა — ისრაელი

10 ივნისი. კვირა

საფრანგეთი — ბელგია
საქართველო — ლატვია
აზერბაიჯანი — ბულგარეთი
ისრაელი — საბერძნეთი

### პლეი ოფი

მე-5-მე-10 ადგილებისთვის
თასის ნახევარფინალები
მე-9 ადგილისთვის
მე-7 ადგილისთვის
მე-5 ადგილისთვის
მე-3 ადგილისთვის
თასის ფინალი

## ლოთეიანი ავსტრალია



**ავსტრალიის** ნაკრების მწვრთნელმა ჯონ კონელიმ ამ უქმეებზე ფიჯისთან გასამართ ტესტ-მატჩისთვის ნაკრებში უნივერსალ მოიერიშეს ლოთე ტუკირის უხმო. წარმოშობით ფიჯელი ტუკირი ისტორიული სამშობლოს წინააღმდეგ მატჩს სასტარტო რაზმში დაიწყებს. „უელსთან გამართულმა ორმა ტესტმა გვიჩვენა, რომ დაცვაში და შეტევაში ფეხმარდი მორაგბეების დეფიციტი გვაქვს. ლოთე ტუკირი სწორედ ამიტომ გამოვიძახე. მართალია, ბევრი გაუცდა, მაგრამ ის ვარსკვლავია და შესაძლებლობების ნახევარიც რომ ითამაშოს, დიდ სარგებელს მოგვიტანს“ — განაცხადა კონელიმ. ლოთე ტუკირი ნაკრებში ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დაბრუნდა. შარშანდელი ზე-14-ში მან მძიმე ტრავმა მიიღო და აქამდე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

## თავს მიხედე, ბიჭო!

**საფრანგეთის** ნაკრების ზემოიერიშეს ტომას კასტანიეს ახალი ზელანდიის მწვრთნელი გრემ ჰენრი შემოელანძღა. წინა უქმეებზე ახალმა ზელანდიამ საფრანგეთს ტესტ-მატჩი 42:11 მოუგო, ჰენრიმ კი ნამატჩევს თქვა, ფრანგები შენელებული კადრივით თამაშობდნენ და უხეშობის მეტი ვერაფერი გვაჩვენესო.

„ჰენრის ურჩევნია, მატჩის ვიდეოფირი რამდენჯერმე ნახოს და დასკვნები მერე გამოიტანოს. ჯერ ერთი, ჩვენ თამაში არ შეგვინელებია, პირიქით, ბოლომდე ვიბრძოლეთ. მეორეც, უხეშობაზე და ხისასტიკეზე პასუხი თავისიანებს მოსთხოვოს. ჩვენი კაპიტანი პასკალ პაპე კინაღამ მოკლეს და ბუნებრივია, ჩვენი ლოგიკური „პასუხი“ რომ არ ესიამოვნა, ეს მისი, პრობლემაა“ — განაცხადა კასტანიემ.

აქვე ვთქვათ, რომ საფრანგეთი ლამის მეორე შემადგენლობით ჩავიდა ახალზელანდიურ ტურნეზე, რაკი საფრანგეთის ჩემპიონატში ახლა პლეი ოფებია და საუკეთესო ოთხმა ელიტარულმა კლუბმა მორაგბეები ნაკრებში არ გაუშვა.

ჭიდაობა



## სჯობს გვიან

### გოგშელიძეს მარშანდელს ლოზანაში დაუფასებენ

**2006 წლის** მსოფლიოს საუკეთესო თავისუფალი სტილის მოჭიდავედ დასახელებულ გიორგი გოგშელიძეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ოფიციალურად 15 ივნისს დააჯილდოვებს. ამ დღეს ლოზანაში გრანდიოზული სპორტული ბაზა გაიხსნება და ფილას თავკაცებსაც გადაუწყვეტიათ, ორი საქმე ერთად გააკეთონ.

ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ვიცე-ჩემპიონის სახელზე საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში მოწვევა ორიოდ დღის წინ მიიღეს. შვეიცარიაში გოგშელიძის გარდა ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ედიშერ მაჩაიძეც არიან დაპატიჟებულები. ცნობისთვის, ფილას რეზიდენციაც ლოზანაშია, მისი წინამძღოლი კი შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტი გახლავთ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ოლიმპიზმი

## სიმბოლოთა ამბავი

### ხის კოვზი ლონდონის ემბლემას

**დიდი აურზაური** გამოიწვია ნამუშევარმა, რომელმაც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლოგოტიპების კონკურსში გაიმარჯვა. ეს ლოგოტიპი წარმოადგენს „2012“ წლის ციფრების სტილიზებულ გამოსახულებას და არასწორი, მრავალწახნაგიანი სახითაა წარმოდგენილი. პირველ „ორიანში“ ჩაწერილია „ლონდონი“, „ნულში“ კი — ხუთი ოლიმპიური რგოლია ჩახატული. ემბლემის ფონი შეიძლება იყოს ლურჯი, მწვანე, ნარინჯისფერი ან ვარდისფერი.

ამ ლოგოტიპსა და მის ავტორს, აგრეთვე კონკურსის ჟიურის წევრებს გამარჯვებული სიმბოლოს საჯაროდ პირველივე გამოჩენისთანავე, ბრიტანეთისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის სხვადასხვა წარმომადგენელთა მხრიდან მწვავე კრიტიკა დაატყდა თავს. ვიღაცამ მას „დაშლილი გამოცანა“ უწოდა. ვიღაცამ ლოგოტიპზე სვასტიკის გამოსახულება დაინახა, მესამემ კი იგი ლონდონთან თანამედროვე ოლიმპიზმის იდეალების კავშირთა არქონისთვის დაიწუნა.

ბი-ბი-სის საიტზე მნახველთა 84-მა პროცენტმა წინადადება წამოაყენა, რომ ამ ლოგოტიპს არ მიანიჭონ არც „ოქრო“, არც „ვერცხლი“ და არც „ბრინჯაო“. მათი აზრით, ლოგოტიპს უნდა უბოძონ „ხის კოვზი“, რაც ბრიტანეთში ჩაფლავების სიმბოლოა.




ლორდ სებასტიან კოეს ოლიმპიადის ემბლემა დაუწუნეს

# იმერეთის ველის ეკოლოგია

## ზამთრის სოჭს მზიმთადან შეუტიეს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის მიერ გამოქვეყნებულ 85-გვერდიან დეტალურ მოხსენებაში, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ სამივე კანდიდატი ქალაქის სადღეისო მზადყოფნას ეხება, ისე ჩანს, რომ აშკარა ფავორიტი პიონჩანია, ხოლო აუტსაიდერი — სოჭი.

სოჭელთა ჭირად ამ პრობლემას სულ სხვა — ეკოლოგთა შემოტევაც დაემატა, თანაც ეს ეკოლოგები ადგილობრივი, რუსული ორგანიზაციის კი არა, საერთაშორისო სოციალურ-ეკოლოგიური კავშირის წევრები არიან. მათ კავშირის სახელით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში წერილი აფრინეს და სოჭისთვის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენდენტობის უფლების ჩამორთმევა მოითხოვეს.

წერილში აღნიშნულია რუსეთის მიერ ოლიმპიური ქარტიის დებულებათა მრავალი დარღვევა, რომლებიც „სოჭი-2014-ის“ განაცხადს ეხება. იქვე მითითებულია რუსეთის მიერ ბუნების დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევის უხეში ფაქტებიც.

ეკოლოგები მიიჩნევენ, რომ „იმერეთის ველზე“ („იმერეტინსკაია დალინა“ — სოჭის შემოგარენის განთქმული ადგილი, სადაც ძირითადი ოლიმპიური ბაზები უნდა აშენდეს) ოლიმპიური ბაზების მშენებლობა სერიოზულ საშიშროებას უქმნის კავკასიის რეგიონის ლანდშაფტს და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, მით უმეტეს, რომ კავკასიონის ქედისა და შავი ზღვის სწორედ ამ მონაკვეთზე გადის ფრინველთა მიგრაციის ძირითადი მარშრუტები. ეკოლოგები იქვე გვაფრთხილებენ, რომ ადლერში აეროპორტის რეკონსტრუქცია უფრო დაამძიმებს მის მიმდებარე შემოგარენში საცხოვრებელი ზონის ისედაც ზენორმატიული ხმაურის ზემოქმედებას. თავის მხრივ, ეს გააუარესებს ადამიანთა ჯანმრთელობას და ბუნებრივ გარემოს.

ამასთან, ეკოლოგები დიდ საშიშროებას ხედავენ იმ გეგმაში, რომელიც მდინარე მზიმთას კალაპოტის შეცვლას უკავშირდება, რათა დაგრძელდეს თვითმფრინავების საფრენი ზოლი.

ეს მდინარე მთელი სოჭის სასმელი წყლის წყაროა და ამასთან, ძვირფასი თევზების მოსაშენებლად საქვირითე წყალსაცავიც. ამიტომაც ეკოლოგები მდინარის კალაპოტის შეცვლას დაუშვებლად მიიჩნევენ.

„საერთაშორისო სოციალურ-ეკოლოგიური კავშირი რუსეთში ოლიმპიური თამაშების ჩატარების მომხრეა, მაგრამ ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების განადგურების წინააღმდეგი გახლავთ“ — თქვა ამ ორგანიზაციის თანათავმჯდომარე სერგეი სიმაკმა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




7 და 10 ივნისს სან ანტონიოში, 12 და 14 ივნისს კლივლენდში
თუ საჭირო გახდა: 17 ივნისს კლივლენდში, 19 და 21 ივნისს სან ანტონიოში

## აღმოსავლეთი
### კლივლენდ კავალიერზი

ფინალამდე დაამარცხა: ვაშინგტონი (4:0), ნიუ ჯერსი (4:2), დეტროიტი (4:2)
მწვრთნელი: მაიკ ბრაუნი



| | თამ | წუთ | მოხ | პას | ქულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ხუთეული** | | | | | |
| ლარი ჰიუზი | 16 | 37,2 | 4,1 | 2,6 | 12,6 |
| ალექსანდრ პავლოვიჩი | 16 | 30,6 | 2,6 | 1,8 | 9,0 |
| ლებრონ ჯეიმსი | 16 | 45,1 | 8,3 | 8,3 | 25,8 |
| დრიუ გუდენი | 16 | 30,9 | 7,9 | 1,2 | 11,1 |
| ჟიდრუნას ილგაუსკასი | 16 | 34,1 | 9,5 | 0,9 | 13,8 |
| **სათადარიგოები** | | | | | |
| დანიელ გიბსონი | 16 | 16,4 | 1,6 | 0,7 | 7,6 |
| ანდერსონ ვარეჟაო | 16 | 21,8 | 6,1 | 0,5 | 5,6 |
| დონიელ მარშალი | 15 | 9,5 | 2,1 | - | 3,5 |
| ერიკ სნოუ | 15 | 13,5 | 1,6 | 1,3 | 1,8 |
| დეიმონ ჯონსი | 7 | 10,6 | 0,6 | 1,0 | 1,1 |

## დასავლეთი
### სან ანტონიო სფურზი

ფინალამდე დაამარცხა: დენვერი (4:1), ფინიქსი (4:2), იუტა (4:1)
მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი



| | თამ | წუთ | მოხ | პას | ქულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ხუთეული** | | | | | |
| ტონი პარკერი | 16 | 37,4 | 2,9 | 6,4 | 19,8 |
| მაიკ ფინლი | 16 | 29,0 | 3,1 | 1,2 | 13,1 |
| ბრიუს ბოუენი | 16 | 32,6 | 3,7 | 1,3 | 6,6 |
| ტიმ დანკანი | 16 | 36,7 | 11,4 | 3,1 | 23,2 |
| ფაბრიციო ობერტო | 16 | 20,8 | 5,1 | 0,8 | 5,9 |
| **სათადარიგოები** | | | | | |
| ემანუელ ჯინობილი | 16 | 30,3 | 5,4 | 4,0 | 16,4 |
| რობერტ ჰორი | 14 | 19,5 | 3,7 | 1,1 | 4,6 |
| ბრენტ ბერი | 15 | 12,2 | 1,3 | 1,3 | 3,1 |
| ფრანცისკო ელსონი | 16 | 11,5 | 3,0 | 0,1 | 3,1 |
| ჟაკ ვონი | 16 | 10,4 | 0,3 | 1,5 | 2,2 |

# გაუფრთხილდით ნერვებს!

## ლებრონ ჯეიმსის მიწაზე კოლონიზატორები გადმოსხდნენ

**ამალამ** ტეხასის ქალაქ სან ანტონიოში ნბა-ს ფინალი იწყება. ტელეკომპანია „იმედი“ ფინალის პირდაპირ რეპორტაჟებს შეგვპირდა და ვნახოთ, ვნებიანი ამერიკული კალათბურთის მოყვარულებს საჩემპიონო სერიის ხილვის საშუალება თუ მოგვეცემა. თამაში პარასკევს დილის 6 საათზეა.

მოკლედ, დღეს ფინალი იწყება და ყველა რალაც უცნაურის ხილვის მოლოდინშია. ერთის მხრივ გამოცდილი და საჩემპიონო დენთანაყნოსი „სან ანტონიო სფურზი“ მეორეს მხრივ კი 37 წლიან ისტორიაში პირველად გასული „კლივლენდ კავალიერზი“. ბევრი საუბრობს, რომ „კლივლენდის“ ლიდერ ლებრონ ჯეიმსისთვის ცოტა ადრეც იყო ასეთ სიმაღლეზე ვარსკვლავებთან შეთამაშება. 22 წლის ფენომენის მიმართ ნაკლებად სკეპტიკურად განწყობილები კი პირველ რიგში ერთ ფრაზას ამბობენ — რატომ არა?

რატომაც არ იმსახურებს ფინალში თამაშს, თუკი თავის კონფერენციაში ყველას მოუგო? მეტიც, ლამის მარტომ დაამარცხა ყველა, მათ შორის „დეტროიტი“, ერთადერთი აღმოსავლური გუნდი, რომელსაც დასავლეთის წარმომადგენლისთვის რეალური წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო.

ძაღლის თავიც აქ მარხია: რამდენად მოახერხებს ლებრონის გუნდი „სან ანტონიოსთან“ შეწინააღმდეგებას? ცხადია „კლივლენდს“ წინასწარ განწირულად არავინ ჩათვლის. ამერიკაში განწირულად მხოლოდ სერიაში 0:3 ჩამორჩენილი ითვლება, მაგრამ ფავორიტი „სან ანტონიოა“, გუნდი, რომელიც ბოლო 9 სეზონში 3-ჯერ გავიდა ფინალში და სამჯერვე მოიგო. თუ ცოტა ხნით მაინც შევეშვებით ლებრო ჯეიმსს, „სფურზი“ ყველა რგოლში და კომპონენტში უპირატესობს. ტეხასელთა მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი 12 წელია, ამ გუნდში მუშაობს და ტიტულის არაერთგზის მოგების მიუხედავად, არასდროს უჭირდა გუნდის მომართვა და გამარჯვებაზე დაგეშვა. სხვა სიტყვებით, „სფურზმა“ ამ პლეი ოფში, მეორე წრეში „ფინიქსის“ 4:2 ძლევით და დასავლეთის ფინალში „იუტას“ 4:1 განადგურებით ყველას აჩვენა, რომ „სპორტულ ფორმაშია“, თამაშიც არ მობეზრებია და არც გაზარმაცებულა. არადა, იყო ამაზე საუბარიც, რაკი „სან ანტონიო“ რეგულარულ ჩემპიონატში ჩამორჩა „დალასსა“ და „ფინიქსს“.

მეათე წელია პოპოვიჩის მთავარი დასაყრდენი 213-სანტიმეტრიანი ფორვარდ-ცენტრი ტიმ დანკანია, რომელიც 2000-იანი წლების ათეულობით მძლავრი მოწინააღმდეგის გარდა დრომაც გამოსცადა. 30 წლის დანკანი მოედანზე ზუსტად ისეთი სახიფათოა, როგორც 20 ან 25 წლისა იყო. იგი სტაბილურობის განსახიერებაა, მუდმივი სიდიდე, დედაბოძი, კაპიტალი, კაპიტანი და კიდევ რაც გინდათ, ის უწოდეთ. 20 ქულა და 10 მოხსნა ისევ მისი ნორმაა, მაგრამ ტიმ დანკანი ნორმების კაცი რომ იყოს, „სან ანტონიო“ სამგზის ჩემპიონი არ იქნებოდა. პირველ რიგში ის გუნდური მოთამაშეა და მისი წყალობით ეს გუნდი ყოველთვის გუნდს ჰგავს.

„სფურზს“ დანკანის გარდა სხვა სახიფათო იარაღიც მოეძებება. წარმოუდგენელია, ვინ უნდა დაუპირისპიროს „კავალერიის“ მხედართმთავარმა მაიკ ბრაუნმა ტონი პარკერს. ტეხასელთა 188-სანტიმეტრიანი ფრანგი გამთამაშებელი ლიგის ყველაზე წრაფ და მოძრავ დამცველებსაც თავბრუს ახვევს, „კლივლენდს“ კი სწორედ ამ რგოლში აქვს პრობლემები. გამთამაშებლისთვის ისედაც ტანმაღალი და ნელი ლარი ჰიუზი ტრავმით თამაშობს. სათადარიგოებშიც ძნელია სწრაფი ჯეელის მოძებნა... ახალბედა დანიელ გიბსონმა „დეტროიტთან“ რამდენჯერმე შეტევაში გამოიჩინა თავი და ერთხელ 31 ქულაც მოიხვეჭა. მაგრამ მას ჯერ არ შეუქმნია საიმედო დამცველის რეპუტაცია. არის კიდევ ერთი — „კლივლენდში“ ყველაზე გამოცდილი, 2001 წლის ფინალში თვით ალენ აივერსონის მხარდამხარ მოთამაშე ერიკ სნოუ, მაგრამ ის ასაკშია.

და მაინც, კიდევ ერთხელ შევიკავოთ თავი „კლივლენდის“ ჩამოწერისგან. ამ გუნდს ჰყავს ნიჭიერი, ახალგაზრდა მწვრთნელი მაიკლ ბრაუნი, რომელსაც თვით... გრეგ პოპოვიჩის სკოლა აქვს გავლილი. ესეც ამ უცნაური ფინალის კიდევ ერთი ინტრიგა: ოსტატად ქცეული შეგირდი ყოფილი ოსტატის წინააღმდეგ. ბრაუნის სამწვრთნელო ხელწერაში პოპოვიჩის შტრიხები შეინიშნება: „კლივლენდს“ უყვარს დაცვაში და დაცვიდან თამაში და რაკი „სან ანტონიოც“ ასეთია, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შეხვედრები 122:111 ან რაღაც ამის მსგავსი ანგარიშით დასრულდება. გუნდები უფრო 75-95 ქულის ფარგლებში იტრიალებენ.

დაბოლოს, ვთქვათ მთავარი, ის რაც ასე საინტერესოს ხდის ამ სერიას. რა უნდა უყოს „სან ანტონიომ“ ლებრონ ჯეიმსს? თქვენ წარმოიდგინეთ, „კლივლენდს“ არც ამ პოზიციაზე აქვს გადამწყვეტი უპირატესობა. პოპოვიჩი ნბა-ში ახლა ყველაზე ხშირადწარმოთქმადი სახელის წინააღმდეგ საშინელ კონტრიარაღს ამზადებს.

ბრიუს ბოუენი! არ არსებობს ნბა-ში მოთამაშე, ვისაც ამ კაცის მეურვეობა სიამოვნებდეს. წლეულს ის მეორე ადგილზე გავიდა სეზონის საუკეთესო დამცველის გამოსავლენ გამოკითხვაში, მაგრამ რეალურად ბოლო წლებში ის უდავოდ საუკეთესო პერსონალური მცველია. მგონი, ის მარტო სან ანტონიოში უყვართ, რადგან სხვა ყველა გუნდში მოიძებნება სულ ცოტა ერთი მოთამაშე მაინც, ვისაც მსაჯისგან მალულად ნეკნებში ან სახეში მისი იდაყვი მოხვედრია.

ბრიუს ბოუენი ახლა 36 წლისა კია, მაგრამ ის კარგი ღვინოსავითაა — რაც უფრო ძველდება, მით უკეთესი და მათრობელა ხდება. ზუსტად ლებრონის სიმაღლის ბოუენი ყოველ თამაშში 25 წუთით გვერდში დგომით გააბედნიერებს „კლივლენდის“ ლიდერს და ნერვებსაც დააწყვეტს.

ზუსტად ამათვე ამპლუის ძველი კალათბურთელი, 90-იანების ლეგენდა სკოტი პიპენიც არ აძლევს უპირატესობას ახალგაზრდა სუპერვასკვლავს — „ბოუენს ბევრთან ჰქონია საქმე და ბევრს გამოუვლია მის ხელში. მას კობი ბრაიანტიდან დაწყებული ყველას გამოთიშვა შეუძლია, ასე რომ, ლებრონ ჯეიმსი არ იქნება მისთვის ახალი და იდუმალებით სავსე ტერიტორია. ბოუენი ამ შემთხვევაში ამერიკის კოლონიზატორს ჰგავს, რომელმაც ამა თუ იმ გზით უნდა დაიპყროს მიწა და გაბატონდეს მასზე. ის ყველანაირად ეცდება, ჯეიმსი წყობიდან გამოიყვანოს. მას ეს კარგად შეუძლია.“

**კოტე ყორშია**





ბრიუს ბოუენი ლებრონ ჯეიმსს:
**არ გაგახარებ!**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცინცაძეს ევროპაში აზოტის ნახვა უნდა

გიორგი ცინცაძე მომავალ სეზონშიც ესტონურ „როკში" ითამაშებს — ეს თითქმის გადაწყვეტილია და ოფიციალურად მაშინ შევა ძალაში, როცა უკვე გამზადებულ კონტრაქტს ტარტუული გუნდის ხელმძღვანელობა ხელს მოაწერს. ცინცაძე ახლა თბილისშია, ესტონეთის ჩემპიონატის ფინალში მიღებულ ტრავმას იშუშებს და კონტრაქტის ძალაში შესვლას ელის, რათა მთლიანად ფორმის აღდგენასა და სანაკრებო ამბებზე გადაერთოს. ტარტუელებმა კი უთხრეს, კვლავ ჩვენთან ითამაშებო, მაგრამ მას მაინც აქვს სამარქაფო ვარიანტები შეგულებული და მასთან საუბარიც ამით დავიწყეთ...



— „როკში" კარგი სეზონი გქონდა და ცხადია, სხვა შემოთავაზებებიც გექნებოდა...

— როგორ არა, ორი გუნდი კარგ პირობებს მთავაზობს, მაგრამ მე მათზე რეალურად არ ვფიქრობ, რადგან ესტონეთს მშვენივრად შევეგუე. ერთ-ერთი ჰოლანდიური გუნდი, სახელი არ მახსოვს, ზუსტად იგივე პირობებს მთავაზობდა, რაც „როკში" მქონდა, ხოლო სანკტ პეტერბურგის „სპარტაკი" კიდევ უფრო მეტს, მაგრამ მე მაინც ესტონეთში დარჩენა მიჯობს.

— ერთი კვირის წინ ტარტუში რომ დაგიკავშირდი, თქვი, კლუბს კონტრაქტზე უნდა დაველაპარაკო და თბილისში მერეღა წამოვალო. ახლა რისი თქმა შეგიძლია?

— „როკის" ხელმძღვანელობას შევუთანხმდი, რომ მათთან დავრჩები. მართალია, პირობებზე არ გვილაპარაკია, მაგრამ არა მგონია, საქმე ისე წავიდეს, ხელფასზე ვერ შევთანხმდეთ.

— ტარტუელებმა შენი პირობები იციან?

— კი, კონტრაქტი ჩემმა მენეჯერმა შეადგინა და ის უკვე „როკის" ხელმძღვანელობას გავუგზავნეთ. უსაშველოს არაფერს ვითხოვ და არა მგონია, რამე პრობლემა შეიქმნას. ესტონურ პრესაში დაიბეჭდა გუნდის ხელმძღვანელთან ინტერვიუ, სადაც ითქვა, რომ ლეგიონერთაგან მხოლოდ მე მიტოვებდენ. უცხოელებს კონტრაქტს აღარ უფორმებენ და მწვრთნელიც გაუშვეს, რაც მე ძალიან გამიხარდა.

— რატომ გაგიხარდა, შენ ხომ საკმარისი სათამაშო დრო გქონდა?

— თავიდან კი ბლომად ვთამაშობდი, მაგრამ მერე ამერიკელი ჩამოიყვანეს და ძირითადად მას უწევდა მოედანზე ყოფნა. ჩემზე უკეთესი რომ ყოფილიყო, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ ფაქტია, რომ მისი მოსვლის შემდეგ „როკმა" წაგებებს უხშირა.

— რაც მთავარია, ჩემპიონატი ხომ მოიგეთ...

— ბოლოს მწვრთნელი უკვე იძულებული იყო, ვეთამაშებინე, რადგან პრესაშიც და ტელევიზიაშიც სულ ჩემს უთამაშებლობაზე ლაპარაკობდნენ. მედია და გულშემატკივარი თვლიდა და ითხოვდა, რომ მე ძირითადში დავბრუნებულიყავი და ასეც მოხდა. ხოლო მაშინ, შუა სეზონში, როცა დევიდ ბეილი იყო ძირითადში, „როკმა" ბალტიის ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო 5 შეხვედრა წააგო და პლეი ოფში ვერ გავიდა. არადა, ერთიც რომ მოგვეგო, გავდიოდით.

— იმ მატჩებში საერთოდ არ გითამაშია?

— არა, რადგან სავიზო პრობლემა შემექმნა და ლატვიაში ვიყავი, რათა საელჩოში საბუთები მომეწესრიგებინა.

— ერთი სიტყვით, ახლა აღარც ბეილია გუნდში და აღარც მწვრთნელი...

— ეგრეა და ეს რომ ვიცოდი, განსაკუთრებით იმიტომ მინდოდა „როკში" დარჩენა. კონკურენცია არ მაშინებს, მაგრამ როცა იმიტომ ზიხარ სკამზე, რომ ამერიკელმა ითამაშოს, ეს უსამართლობაა. ბეილი ძალიან დაბალი, 173 სანტიმეტრია და დაცვაში ვერაფრით გამოიყენებ. ჩემზე მეტი არც სისწრაფე ჰქონდა და არც მიზანი. ისე, ბეილი რომც დარჩენილიყო, მე პრობლემები აღარ შემექმნებოდა, რადგან ბოლოს ისევ ხუთეულში დამაბრუნა მწვრთნელმა და შედეგსაც მივაღწიეთ — ჩემპიონები გავხდით.

— ფინალში მიღებული ტრავმის საქმე როგორ არის?

— სახიფათო არაფერია, მყესები მაქვს დაჭიმული და ახლა რეაბილიტაციას გავდივარ.

— „როკი" მომავალ სეზონში რომელ ევროტურნირში ითამაშებს?

— რომელშიც შარშან, „ჩელენჯ ქაფში" მგონი, ეს ტურნირი და ფიფა-ს თასი ერთიანდება და იქ გამოვალთ. გავიგე, რუსთავის „აზოტსაც" სურს ამ ტურნირში თამაში და თუ ის „როკის" ჯგუფში მოხვდება, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება.

**ირაკლი პერტაია**

# კადეტთა კორპუსი კობეშავიძეს ჩააბარეს



**ცვლილება** მოხდა საქართველოს კადეტთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში — მთავარი მწვრთნელის, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ადგილი მისმა ასისტენტმა მიხეილ კობეშავიძემ დაიკავა. კობეშავიძის თანაშემწე კი გია კაზანჯიანი იქნება.

ეს ინფორმაცია კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა დაგვიდასტურა: „კადეტებს მიხეილ კობეშავიძე უხელმძღვანელებს. ის უკვე შეუდგა მუშაობას. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა თავად თქვა უარი ნაკრებში მუშაობაზე. მან ეს გადაწყვეტილება პირადული პრობლემით ახსნა".

კადეტთა ნაკრები შარშან B დივიზიონიდან A-ში გადავიდა და 20-28 ივლისს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, რომელიც ბერძნულ კრეტაზე გაიმართება. ჩვენი მეტოქეები ესპანეთის, სლოვენიის და იტალიის ნაკრებები იქნებიან.

**ოთარ მხეიძე**



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ალონსომ ესპანეთი გააორმაგა

**მომავალ წელს** ფორმულა 1-ის ეტაპთა სიაში დიდი ცვლილებები მოხდება.

უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ საფრანგეთში რბოლა არ ჩატარდება. „სამეფო რბოლების" კომერციული მეპატრონე ბერნი ეკლსტოუნი უკმაყოფილოა, რომ სადღაც პროვინციაში, მანი კურის ავტოდრომზე ეტაპი ბევრ მაყურებელს ვერ იზიდავს. ბოსი მასპინძლებს სერვისსაც უწუნებს და სულაც არაა გასაკვირი, რომ ორგანიზატორები ზარალში არიან. ეკლსტოუნს დიდი სურვილი აქვს, ფრანგული ეტაპი ქვეყნის დედაქალაქის მახლობლად, დისნეილენდის ტერიტორიაზე გადაიტანოს, ანდა სულაც პარიზის ქუჩებში.

სამაგიეროდ, ფერნანდო ალონსოს ორი ტრიუმფალური სეზონის წყალობით ესპანეთში ფორმულა 1-ის პოპულარობა ისე გაიზარდა, რომ პირინეელებმა მეორე ეტაპის მასპინძლობის უფლებაც მიიღეს. ბარსელონასთან ერთად 2008 წლიდან ვალენსიაც უმასპინძლებს ავტოსპორტის ყველაზე პრესტიჟული სახეობის წარმომადგენლებს. კონტრაქტი შვიდწლიანია, ხოლო რბოლა ევროპის გრან პრის სახელით ჩაიწერება კალენდარში. აქამდე ევროპულ ეტაპს გერმანია, კერძოდ, „ნიურბურგრინგი" ატარებდა. ვალენსიაში რბოლა პოპულარულ „რიკარდო ტორმოს" ტრეკზე კი არ ჩაივლის, არამედ ქალაქის ქუჩებში.

საგაისო საპირველფორმულო რუკაზე კიდევ ერთი ახალი პუნქტი გაჩნდება. ესაა რბოლა სინგაპურში, რომელიც ასევე ქალაქ-ქვეყნის ქუჩებში ჩატარდა და, რაც მთავარია, საღამოს, ხელოვნური განათებისას. ესეც ეკლსტოუნის ახირებაა, რომ „სამეფო რბოლების" ისტორიაში პირველი ღამის რბოლა იხილოს.

არაა გამორიცხული, რომ კიდევ ერთი აზიური გრან პრი — მალაიზიისაც მომავალი წლიდან „გაშუქდეს". ესეც იმიტომ გაკეთდება, რომ ევროპელ მაყურებლებს ტელერეპორტაჟის საცქერად შუაღამისას არ მოუხდეთ ძილის გატეხვა, რაც ტელეაუდიტორიის სიმცირის მიზეზია.

**გია ახალაძე**



# დანილოს დანიაში ეპატიჟებიან

**დანიური** ველოგუნდის CSC-ის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ახლახანს დასრულებული „ჯირო დიტალიას" ტრიუმფატორის დანილო დი ლუკას გუნდში გადაყვანით.

თავის ამჟამინდელ გუნდთან, იტალიურ „ლიქუიგასთან" დი ლუკას კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება და დანიელები იმედოვნებენ, რომ მომავალ სეზონში დანილო, სწორედ მათი ლიდერი იქნება. თავად დი ლუკა აცხადებს, რომ „ლიქუიგასში" დარჩენა სურს, თუმცა, არც გუნდის გამოცვლის ვარიანტს გამორიცხავს. მით. უმეტეს, რომ CSC „ჯიროს" ჩემპიონს 2 მილიონ ევროს სთავაზობს.

# ტინკოვი ტინკოფით კმაყოფილია



**მიუხედავად იმისა,** რომ ახალშექმნილი რუსულ-იტალიური ველოგუნდის, „ტინკოფის" წევრებმა გასრულებულ „ჯირო დიტალიაზე" ეტაპის მოგება ვერ მოახერხეს, გუნდის რუსი მეპატრონე ოლეგ ტინკოვი კმაყოფილია თავისი მრბოლელებით. თანაც, იტალიური სუპერრბოლის ორგანიზატორებმა პრაქტიკულად გადაწყვიტეს მომავალი წლის „ჯიროზე" „ტინკოფის" მიწვევა და ოლეგ ტინკოვის თქმით, ეს მასა და მისი გუნდის წევრებს დამატებით სტიმულს მისცემს.

# გოდეფრუტმა დოპინგი გაიკვირვა

**მას შემდეგ,** რაც გერმანული ველოგუნდის, „ტელეკომის" (ახლანდელი „T-მობაილი") მრავალმა ყოფილმა და, თანაც სახელიანმა წევრმა აღიარა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დოპინგს იღებდა, თავისი კომენტარი გუნდის ყოფილმა ბოსმა ვალტერ გედეფრუტმაც გააკეთა.

სპეციალურ პრესკონფერენციაზე გედეფრუტმა ბრძანა, რომ „ტურ დე ფრანსის" 1996 წლის ჩემპიონ ბიარნე რიისისა და „ტურის" მრავალგზის საუკეთესო სპრინტერის, ერიკ ცაბელის აღიარებამ ის გააოგნა, თუმცა ამით გუნდის დადანაშაულება არაფრით შეიძლება. „ტელეკომის" ხელმძღვანელები სუფთად ვმუშაობდით და გუნდის წევრები დოპინგს თუ იღებდნენ, ახლაღა გავიგეო.

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €

# შეაყარე ნადალს მტვერი

## ნოვაკმა ენა მოიქნია და გული გაიმაგრა

6 ივნისი

კაცები

მეოთხედფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (6, სერბეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:3 6:3 6:3; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — კარლოს მოია (23, ესპანეთი) 6:4 6:3 6:0


AFP

**წლევანდელი** „როლან გაროსი" სერბული ნიშნით მედინება. ნოვაკ ჯოკოვიჩი ამ ბალკანური ქვეყნის უკვე მესამე წარმომადგენელია, საფრანგეთის ღია პირველობის ნახევრფინალს რომ უწია. ის ამ საფეხურზე ელენა იანკოვიჩსა და ანა ივანოვიჩს შეურთდა, რომლებმაც ეს პრივილეგია სამშაბათს გაინაღდეს.

ჯოკოვიჩმა გუშინ სამ სეტში გადაურბინა იგორ ანდრეევს და კარიერაში პირველად უწია სლემტურნირის ნახევარფინალს. ამით ახალგაზრდა სერბმა თავისი შარშანდელი მიღწევა გააუმჯობესა, თუმც რაფაელ ნადალთან რანდევუს მაინც ვერ გადაურჩა. ერთი წლის წინ ესპანელმა ჯოკოვიჩი სწორედ მეოთხედფინალიდან დაიფრინა და თან საკმაოდ იოლადაც. მაგრამ წლეულს სერბი სერიოზულად არის განწყობილი და ხმამაღლა აცხადებს, რომ შარშანდელივით იოლად დანებებას არ აპირებს.

„ერთი წლის წინ მეოთხედფინალში გასვლა ჩემი მაქსიმუმი იყო და ნადალთან ფეხები მიკანკალებდა, თან აქამდე მოსასვლელად მაშინ რამდენიმე მძიმე ბრძოლის გადატანა მომიხდა და გადაღლილი ვიყავი. ახლა ესპანელის აღარ მეშინია, ვიცი, როგორ უნდა ვეთამაშო და ჯობს, წინასწარ ნუ ჩამომწერთ."

ჯოკოვიჩისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მის ამ სიტყვებს ალბათ მაინც ქარი წაიღებს — სერბი არც პირველია და არც უკანასკნელია, ნადალის საპარიზო დომინაციის დამხობით რომ იმუქრება, მაგრამ საქმით ეს ჯერ ვერავინ დაამტკიცა. ესპანელი ჯადო-ბიჭი იმდენად შთამბეჭდავია, სიტყვებიც არ კმარა, რომ მისი თამაში აღვწეროთ.

ახალგაზრდა ბალკანელი კი ამტკიცებს, ვიცი, ნადალს როგორ უნდა ვებრძოლოო, მაგრამ ის არც აქ არის პირველი, თეორიულად რომ მომზადებულა ესპანელთან სათამაშოდ. რაფას დამარცხების რეცეპტი თითქოს კარგა ხანია, არსებობს, მაგრამ როცა ესპანელთან პირისპირ დგახარ, ამ ცოდნის პრაქტიკაში გადატანა შეუძლებელი ხდება. ეს ორიოდ დღის წინ საკუთარ ტყავზე იწვნია ლეიტონ ჰიუიტმა, რომელმაც ჯოკოვიჩის დარად გამოიყვანა მალიორკელის წაქცევის ფორმულა — კორტზე კი ნადალმა ეს ფორმულა გამომგონებელთან ერთად მტვრად აქცია.

თუნდაც გუშინდელი შეხვედრა ვახსენოთ — ვეტერანი კარლოს მოია საომრად გავიდა და ნადალს დაემუქრა, ჩვენს მეგობრობასაც დავივიწყებო. თან წესით, 30 წლის ესპანელზე კარგად ვის უნდა სცოდნოდა რაფას სუსტი მხარეები, მაგრამ იგივე განმეორდა — კორტზე მოიასგან აღარაფერი დარჩა და თამაში კარლოსის შეცდომების გამო კომედიად გადაიქცა.

ჯოკოვიჩმა რაც უნდა ის ილაპარაკოს, მაგრამ მისი წარმატებისა ცოტას, უფრო სწორად, თითქმის არავის არ სჯერა. ნადალი კი აგრძელებს თავის ფანტასტიკურ როლანგაროსულ სვლას, სადაც ესპანელს 19-დან 19-ვე შეხვედრა მოუგია. ორი გამარჯვებაც და რაფა მხოლოდ მეორე ჩოგბურთელი შეიქნება ტურნირის 93-წლიან ისტორიაში, რომელიც პარიზული სლემტურნირის ზედიზედ სამჯერ მოგებას მოახერხებს. აქამდე იგივე მხოლოდ ლეგენდარულ ბიორნ ბორგს გაუკეთებია 1978-81 წლებში .

**ბახა ლომჯაშვილი**

# ჩაკვეტაძე ცუდად ყოფილა


AFP

## საქართველოს ტელევიზორში უსიკვდილოდ ვუქომაგებ!

იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე მარცხისთვის ანა ჩაკვეტაძემ მარია შარაპოვაზე შური ვერ იძია. „როლან გაროსისა" არ იყოს ისინი მაშინაც მეოთხედფინალში შეხვდნენ. მიუხედავად მაშას ფავორიტობისა, ანამ რიგ მომენტებში აშკარად დაჯაბნა გამოცდილი მეტოქე და ცოტა ფხაც რომ გამოეჩინა, ეგებ ნახევარფინალშიც გამძვრალიყო.

პარიზულ ჯახში ანა გამოკვეთილ აუტსაიდერად არ მოჩანდა — ის რევანშისთვისაც სერიოზულად ემზადებოდა, თუმც მაშამ ამჯერად უფრო იოლად იმარჯვა, რაც ბევრისთვის მოულოდნელობად იქცა.

ჩაკვეტაძის მარცხის მიზეზი ნამატჩევს გაირკვა, როცა პრესკონფერენციაზე ანა იმდენად ცუდად გამოიყურებოდა, რომ ჟურნალისტები მაშინვე ჯანმრთელობაზე დაეკითხნენ

— მართლა ვერ ვარ კარგად. მესამე დღეა, გაციებული ვარ და უფრო და უფრო ცუდად ვგრძნობ თავს. გუშინ არც მივარჯიშია იმ იმედით, რომ მატჩისთვის ძალებს შევინახავდი, თუმც არც ამ სვლამ გაამართლა.

— მატჩის შეწყვეტაზე არ გიფიქრიათ?

— კი გამიელვა ამ აზრმა. მაგრამ მერე ვიფიქრე, თუ ახლა შეწყვიტე, საერთოდ რა აზრი ჰქონდა კორტზე გამოსვლას-მეთქი და ბოლომდე ბრძოლა ვცადე.

— შარაპოვაზე რას იტყვით? ჩემპიონობისთვის ბრძოლას შეძლებს?

— რატომაც არა. მარია დიდებული ჩოგბურთელია და ყოველთვის ბოლომდე იხარჯება. ასე რომ, მშვენიერი შანსი აქვს

— დღეს საფრანგეთში საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ითამაშებს. შემთხვევით სტადიონზე წასვლას ხომ არ გეგმავთ?

— ჩემს მდგომარეობაში სტადიონზე სიარულიღა მაკლია. თუმც ტელევიზორით აუცილებლად ვუყურებ და ნაკრებსაც, რა თქმა უნდა, გულმხურვალედ ვუქომაგებ.



# ინდური კინოს ახალი ვარსკვლავი




**ინდურ კინოს** ახალი „ვარსკვლავი" გამოუჩნდა — მაიკ ტაისონმა გადაწყვიტა, რომ ამიერიდან თავისუფალი დროის დიდ ნაწილს კამერების წინ გაატარებს. მართალია, ეს თავისუფალი დრო მალე შეიძლება, არც ჰქონდეს, რადგან პეროინის მოხმარება-გადატანისთვის შანსია, ისევ ციხეში ჩააყუდონ, მაგრამ ამას თუ ასცდა, თავის ძალებს კინემატოგრაფიაში მოსინჯავს.

თურმე ნუ იტყვით, ტაისონი უკვე ელაპარაკა ინდოელ პროდიუსერ ფიროზ ნადიადვალას მომავალი ფილმის დეტალებზე. აქვე დავამტებთ, რომ ტაისონმა მაისში უკვე მონაწილეობდა მრავლისმეტყველ სახელიანი ფილმის „სულელის და უკანასკნელის" გადაღებებში და ერთ დროს დიდ მოკრივეს ძალიან მოსწონებია გადასაღებ მოედანზე არსებული გარემო.

„ძალიან კარგი ატმოსფეროა. ცხოვრებით ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იყო" — იხსენებს ტაისონი.

# ბრიუსტერი კბილებს ილესავს

**ივლისის** დასაწყისში ვლადიმირ კლიჩკოს ტიტულის მორიგი დაცვა ელის. IBF-ს ქამრის მფლობელს ამერიკელი ლეიმონ ბრიუსტერი დაეტაკება. ჰოდა, იანკის მწვრთნელი, ცნობილი ბადი მაკგირტი ამბობს, ბრიუსტერი ასე გამალებით არც ერთი ბრძოლისთვის არ მომზადებულაო. მეტიც, რეჟიმის დაცვის არცთუ დიდად მოყვარული ამერიკელი მწვრთნელთან თურმე ზედმეტი წონის გარეშე გამოცხადებულა — მაკგირტის თქმით, ასეთი რამ აქამდე არასოდეს მომხდარა:

„არ ვიცი, რას აკეთებდა, მაგრამ ჩემთან უკვე კარგ ფორმაში მოვიდა. თან ის ფიზიკურადაც მზად არის და ფსიქოლოგიურადაც. ისე, იმდენად ენერგიულად ემზადება, ვაკავებ ხოლმე, რომ არ გადაიწვას. ლეიმონი ბრძოლას მოუთმენლად ელის და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს ".

# ვიტალი და ჯამილი



**ვიტალი კლიჩკოს** კარგა ხნის წინ გამოცხადებულ რინგზე დაბრუნებას არა და არ დაადგა საშველი. ამის მიზეზი ძირითადად ის არის, რომ ერთ დროს ნომერ პირველ მძიმეწონოსანს მეტოქე ვერ გამოუძებნეს — ხან რაჰმანიო, ხან მასკაევიო, ხან ვალუევიო.. როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ის, ვინც დაითანხმეს ვიტალისთან ჩხუბზე — ეს მოკრივე ჩამოთვლილებივით სახელიანი იქნებ ვერც არის, მაგრამ კრივის სამყაროში არც უკანსაკენლი კაცია. საუბარი ჯამილ მაკლაინზე გვაქვს.

ამერიკულ პრესას თუ ვენდობით, კლიჩკო-მაკლაინის ბრძოლის ბედი თითქმის გადაწყვეტილია. ეს მოკრივეები და მათი წარმომადგენლები ერთმანეთს გასულ შაბათს სულტან იბრაგიმოვისა და შენონ ბრიგსის ბრძოლისას შეხვედრიან ერთმანეთს და ხელი ხელზეც დაურტყამთ.

ალბათ გემახსოვრებათ, რომ მაკლაინი თავის ბოლო ჩხუბში WBA-ს ვერსიით მაშინდელ ჩემპიონ ნიკოლაი ვალუევს დაუპირისპირდა, მაგრამ ძალიან უაზროდ წააგო — მესამე რაუნდში ფეხი დაუცდა, წაიქცა და მუხლი ისე დაიზიანა, რომ ბრძოლის გაგრძელება ვერ მოახერხა.

ჰოდა, მაკლაინი 1 სექტემბერს მაშინ დაკარგული რენომეს აღდგენას ეცდება. კლიჩკოს შტაბში კი სწამთ, რომ თუ ვიტალი ამ ამერიკელს დასცემს, მაშინ თავისი ძველი ქამრის — WBC-ს სავალდებულო პრეტენდენტი გახდება და ჩემპიონობისთვის ოლეგ მასკაევ—სემუელ პიტერის გამარჯვებულს დაეტაკება.

# ლიახოვიჩმა სულტანის იწყინა

**შენონ ბრიგსის** დამარცხებისა და WBO-ს ტიტულის მოპოვების შემდეგ ენა პირში ვერც სულტან იბრაგიმოვმა დააყენა და ბლომად ხმაურიანი განცხადებები გააკეთა. აქედან ახლა მხოლოდ ერთ-ერთს შევეხებით — რუსს ჰკითხეს, თქვენი აზრით, სერგეი ლიახოვიჩმა ბრიგსთან რატომ წააგოო და იბრაგიმოვმაც წამოაყრანტალა, რინგზე შეშინებული გავიდა და არ აქტიურობდაო.

ეს სილის გაწვნის ტოლფასი იყო და, ბუნებრივია, არც ლიახოვიჩის კომენტარმა დაახანა:

„სულტანმა ძალიან ჭკვიანურად იჩხუბა და დამსახურებულადაც მოიგო, მაგრამ მისმა ბრძოლის შემდგომმა კომენტარებმა მაგრად გამაბრაზა. ესე იგი, ბრიგსის მეშინოდა, არა? თუ ეგეთი მაგარია, დაასახელოს დრო და ბრძოლის გამართვის ადგილი. მერე იქ ვნახავთ, ვის ვისი ეშინია".

**ბახა ლომჯაშვილი**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი


ნორვეგია 4:0 უნგრეთი. სტეფენ ივერსენის გოლი სტუმართა კარში
AFP

## A ჯგუფი

### ყაზახეთი 1:1 აზერბაიჯანი

0:1 ნადიროვი (30), 1:1 ბალტიევი (53)
**ყაზახეთი:** ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, ბალტიევი, ჩიჩულინი, კარპოვიჩი, ბიაკოვი, ოსტაპენკო (ტლეშევი 79), ჟუმასკალიევი (უტაბაიევი 90)
მწვრთნელი: არნო პიიპერსი
**აზერბაიჯანი:** ჰასანზადე, ს. აბასოვი, ე. გულიევი, რ. გულიევი, ჰაშიმოვი, ჩერტოგანოვი, სულთანოვი (ა. გურბანოვი 74), რ. აბასოვი, კ. ქერიმოვი (იმამალიევი 58), ნადიროვი (ნ. მამედოვი 84), სუბაშიჩი
მწვრთნელი: შაჰინ დინიევი
გაფრთხილება: ე. გულიევი
გაძევება: ჟალმაგამბეტოვი (45)
მსაჯი: ალბერტ ტუსაინი (ლუქსემბურგი)
11 800 მაყურებელი

### სომხეთი 1:0 პოლონეთი

1:0 მხითარიანი (66)
**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, ოვსეპიანი, მელიქიანი, მინასიანი (პაჩაჯიანი 78), თადევოსიანი, არაქელიანი, მხითარიანი (ა. ქარამიანი 70), მკრტჩიანი, შაჰგელდიანი (აკობიანი 46), ვოსკანიანი
მწვრთნელი: იან პორტერფილდი
**პოლონეთი:** ბორუცი, ბაკი (სობოლევსკი 65), ბრონოვიკი, დუდკა, ლევანდოვსკი, ვასილევსკი, ჟევლაკოვი, კრჟინოვეკი, ლობოძინსკი (ბლაშჩიკოვსკი 60), შმოლარეკი (ჟურავსკი 60), საგანოვსკი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
გაფრთხილება: მკრტჩიანი, ბრონოვიკი
მსაჯი: პაველ ბალაი (რუმინეთი)
12 500 მაყურებელი

### ფინეთი 2:0 ბელგია

1:0 იოჰანსონი (27), 2:0 ა. ერიომენკო (71)
**ფინეთი:** იასკელაინენი, პასანენი, კალიო, ნიმანი, ტიჰინენი, ა. ერიომენკო (ფორსელი 89), რ. ერიომენკო, ჰეიკინენი, კოლკა (ნურმელა 86), ვაირინენი, იოჰანსონი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
**ბელგია:** სტიინენი, დე მანი, სიმონსი, კლემანი, ვერმაელენი (ბ. მარტენსი 46), დეფური, ფელაინი, ვან დამი, ვან დერ ჰიდენი, დე მული (არუნი 55), ე. მპენზა (სტერჩელე 86)
მწვრთნელი: რენე ვანდერეიკენი
გაფრთხილება: ფელაინი, ვაირინენი, ფელაინი, ვან დამი
გაძევება: ფელაიანი (52)
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
34 818 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:7 | 19 |
| სერბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| ფინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| ბელგია | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | 7 |
| სომხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 3:7 | 7 |
| ყაზახეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 6 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

## B ჯგუფი

### საფრანგეთი 1:0 საქართველო

### ფარერები 0:2 შოტლანდია

0:1 მელოუნი (31), 0:2 ოკონორი (35)
**ფარერები:** მიკელსენი, ბენიამინსენი, დანიელსენი, ი. იაკობსენი, იოჰანესენი (დიურჰუუსი 36; სამუელსენი 77), ე ბორგი (ფლოტუმი 82), ოლსენი, თომასენი, კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი, ჰოლსტი
მწვრთნელი: მარტინ ოლსენი
**შოტლანდია:** გორდონი, გ. ნეისმიტი, ვეირი, მაკმანუსი, ალექსანდერი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი (ტილი 68), ჰარტლი, ბოილი (ს. ნეისმიტი 83), მელოუნი (ედამი 77), ოკონორი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: გ. ნეისმიტი, იოჰანესენი, ფერგიუსონი
მსაჯი: გეორგიოს კასნაფერისი (საბერძნეთი)
1 500 მაყურებელი

### ლიტვა 0:2 იტალია

0:1, 0:2 კალიარელა (31, 45)
**ლიტვა:** გრიბაუსკასი, შემბერასი, შკერლა, პაულაუსკასი (გედგაუდასი 46), კლიმავიჩიუსი, სტანკევიჩიუსი, ჟვირგჟდაუსკასი, კალონასი, მორინასი (მიკოლიუნასი 39), სავენასი (ლაბუკასი 61), დანილევიჩიუსი
მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი
**იტალია:** ბუფონი, ოდო, კანავარო, მატერაცი, ძამბროტა, დე როსი (გატუზო 65), პირლო, პეროტა (ამბროზინი 71), დი ნატალე (დელ პიერო 74), ინძაგი, კალიარელა
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: პირლო, ლაბუკასი
მსაჯი: პიტერ ვინკი (ჰოლანდია)
9 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 16:2 | 18 |
| იტალია | 7 | 5 | 1 | 1 | 13:6 | 16 |
| შოტლანდია | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 15 |
| უკრაინა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| ლიტვა | 7 | 2 | 1 | 4 | 4:7 | 7 |
| საქართველო | 8 | 2 | 0 | 6 | 13:14 | 6 |
| ფარერები | 8 | 0 | 0 | 8 | 2:27 | 0 |

## C ჯგუფი

### ნორვეგია 4:0 უნგრეთი

1:0 ივერსენი (22), 2:0 ბრაატენი (57), 3:0, 4:0 კარეუ (60, 78)
**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდრესენი, გრინდჰეიმი (ჰესტადი 46), პედერსენი (ჰელსტადი 82), ბ. რიისე, ა. რიისე, სტორბეკი, კარეუ, ივერსენი (ბრაატენი 46)
მწვრთნელი: აგე ჰარეიდე
**უნგრეთი:** ვეგი, ბალოგი, იუჰაში, შელესი, ვანჩაკი, ბუშაკი (ვადოცი 83), ტოტი, ტოშერი, გერა, ჰაინალი, პრისკინი (ტიშა 71)
მწვრთნელი: პეტერ ვარჰიდი
გაფრთხილება: ჰაგენი, ჰაინალი
მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)
19 198 მაყურებელი

### ბოსნია 1:0 მალტა

1:0 მუსლიმოვიჩი (6)
**ბოსნია:** გუსო, მუსიჩი (მუარემოვიჩი 90), პანძა, რადელჯიჩი, დამიანოვიჩი, პრგოვიჩი, მალეტიჩი (ბარტოლოვიჩი 80), მისიმოვიჩი, რახიმიჩი, ძეკო (ზება 56), მუსლიმოვიჩი
მწვრთნელი: ფუად მუზუროვიჩი
**მალტა:** მუსკატი, აზოპარდი, ბრიგა, დემეში, საიდი, აგიუსი, პეისი (ბარბარა 82), სამუტი, ბოგდანოვიჩი (შემბრი 65), მიფსუდი, ვუდსი (მალია 70)
მწვრთნელი: დუშან ფიტცელი
გაფრთხილება: მისიმოვიჩი, დიმეში
მსაჯი: კერი რიჩარდსი (უელსი)
15 000 მაყურებელი

### საბერძნეთი 2:1 მოლდოვა

1:0 ხარისტიასი (30), 1:1 ფრუნზა (80), 2:1 ლიბეროპულოსი (90)
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, გუმასი, პაცაცოღლუ (იანაკოპულოსი 83), კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი (სამარასი 71), ხარისტიასი, გეკასი (ლიბეროპულოსი 63)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
**მოლდოვა:** კალაჩია, კატინსუსი, ეპურიანუ, გოლოვაცენკო, ბურდიანი, კომლენოკი (ტიგირლასი 82), გაცკანი, იოსანი, ნამასკო, ალექსეევი (ფრუნზა 64), ბუგაევი (ზმეუ 57)
მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი
გაფრთხილება: გაცკანი, კარაგუნისი, ტიგირლასი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
18 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 12:5 | 18 |
| ბოსნია | 7 | 4 | 1 | 2 | 14:14 | 13 |
| თურქეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| ნორვეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 17:6 | 13 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | 6 |
| მალტა | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | 2 |

## D ჯგუფი

### გერმანია 2:1 სლოვაკეთი

1:0 კლოზე (10), 1:1 მეცელდერი (20ს.კ.), 2:1 ჰიცლშპერგერი (43)
**გერმანია:** ლემანი, ლამი, მერტესაკერი, მეცელდერი, იანსენი, ფრიცი, ფრინგსი, შნაიდერი (როლფსი 90), ჰიცლშპერგერი, კლოზე (ტროხოვსკი 74), კურანი (გომესი 65)
მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი
**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, დიურიცა, კლიმპლი, შკრტელი, სვენტო, ჰამსიკი, კრაიჩიკი, საპარა (ჰოლოშკო 65), შტრბა (ორავეცი 83), სესტაკი (ზოფჩაკი 65), ვიტეკი
მწვრთნელი: იან კოციანი
გაფრთხილება: შტრბა, შნაიდერი
მსაჯი: ოლეგარიუ ბენკუერენსა (პორტუგალია)
51 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 29:4 | 19 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:4 | 14 |
| ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 16:13 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 1 | 9:16 | 4 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:36 | 0 |

## E ჯგუფი

### ანდორა 0:2 ისრაელი

0:1 ტამუზი (37), 0:2 კოლაუტი (63)
**ანდორა:** ჯ. ალვარესი, ჩ. გარსია (სონეხე 61), ი. ლიმა, ა. ლიმა, ხ. აიალა, ბერნაუსი, ესკურა, ხ. გარსია, ხუსტო, ვიეირა, ტოსკანო (ხ. სანჩესი 77)
მწვრთნელი: დავიდ როდრიგო
**ისრაელი:** ავატი, ბენადო, ბენ დაიანი, იეჩიელი, ზივი, ალბერმანი (ბადირი 71), ბენაიუნი, ტალი, კოლაუტი (გოლანი 86), იცხაკი, ტამუზი (ზანდბერგი 77)
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
გაფრთხილება: ი. ლიმა, ესკურა
მსაჯი: იან სტოკსი (ირლანდია)
680 მაყურებელი

### ხორვატია 0:0 რუსეთი

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, შიმუნიჩი, რ. კოვაჩი, კორლუკა, და სილვა, ნ. კოვაჩი, კრანჩარი (პეტრიჩი 66), მოდრიჩი, სრნა (ლეკო 8), ოლიჩი (ბაბიჩი 83)
მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი
**რუსეთი:** მალაფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ანიუკოვი, ბუდიანსკი (ტორბინსკი 46), ბისტროვი (საენკო 61), სემშოვი, ჟირკოვი, არშავინი, კერჟაკოვი (სიჩოვი 73)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ტორბინსკი, საენკო, ლეკო
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
38 000 მაყურებელი

### ესტონეთი 0:3 ინგლისი

0:1 კოული (37), 0:2 კრაუჩი (54), 0:3 ოუენი (62)
**ესტონეთი:** პოომი, იააგერი, კრუგლოვი, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერე, ვასილიევი, კონსა (ნეემელო 46), ტერეხოვი (კინკი 64), ვოსკობოინიკოვი
მწვრთნელი: იელე გუსი
**ინგლისი:** რობინსონი, ბრაუნი, კინგი, ტერი, ბრიჯი, ბექჰემი (დაიერი 68), ლამპარდი, ჯერარდი, ჯ. კოული (დაუნინგი 75), ოუენი (ჯენასი 88), კრაუჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: კრაუჩი
მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)
11 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 17 |
| ისრაელი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 17 |
| რუსეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:1 | 15 |
| ინგლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:2 | 14 |
| მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| ესტონეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 0:14 | 0 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 1:28 | 0 |

## F ჯგუფი

### შვედეთი 5:0 ისლანდია

1:0 ოლბოკი (11), 2:0 სვენსონი (42), 3:0 მელბერგი (45), 4:0 როზენბერგი (50), 5:0 ოლბოკი (51)
**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი (ვონ შლებრუგე 57), მელბერგი, ჰანსონი, ალექსანდერსონი, ლინდეროტი (დ. ანდერსონი 62), ლიუნგბერგი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი, ოლბოკი (იბრაჰიმოვიჩი 73), როზენბერგი
მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი
**ისლანდია:** არასონი, ო. ბიარნასონი, თ. ბიარნასონი, ბ. გუნარსონი, ინგიმარსონი, სტეინსონი (კ. სიგურდსონი 90), ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (იონსონი 53), ვიდარსონი, საევარსონი (გუდმუნდსონი 65), ჰ. სიგურდსონი
მწვრთნელი: ეიოლფურ სვერისონი
გაფრთხილება: ბ. გუნარსონი, ვიდარსონი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
33 338 მაყურებელი

### ლატვია 0:2 დანია

0:1, 0:2 რომედალი (15, 17)
**ლატვია:** კოლინკო, ზირნისი, სტეპანოვსი, კლავა, ივანოვსი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (სოლონიცინსი 66), ლაიზანსი, რუბინსი (კაუნა 75), კარლსონსი (პახარსი 61), ვერპაკოვსკისი
მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი
**დანია:** სორენსენი, ლ. იაკობსენი, ლაურსენი, აგერი, ნ. იენსენი, დ. იენსენი, რომედალი (კალენბერგი 46), ბენდტნერი (ვიურცი 60), გრონკიაერი, იორგენსენი, ტომასონი
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
გაფრთხილება: ვერპაკოვსკისი, რომედალი, პახარსი, დ. იენსენი
მსაჯი: მატეო ტრეფოლონი (იტალია)
10 000 მაყურებელი

### ლიხტენშტაინი 0:2 ესპანეთი

0:1, 0:2 ვილია (8, 14)
**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, მარტინ შტოკლასა, მიხაელ შტოკლასა (ტელსერი 29), რიცბერგერი, ბუჩელი, ბურგმაიერი, პოლვერინო, თ. ბეკი (რ. ბეკი 82), მ. ფრიკი, რორერი (დ. ფრიკი 59)
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ცაუგი
**ესპანეთი:** რეინა, ს. რამოსი, ხავი ნავარო, მარჩენა, კაპდევილა (ა. ლოპესი 52), ფაბრეგასი (ლუის გარსია 67), ხაბი ალონსო, ინიესტა, ხოაკინი, დ. სილვა (სოლდადო 77), ვილია
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ფაბრეგასი, ბუჩელი, ბურგმაიერი
მსაჯი: ნიკოლაი ივანოვი (რუსეთი)
5 739 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:7 | 16 |
| ესპანეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| დანია | 6 | 3 | 2 | 1 | 12:5 | 11 |
| ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:18 | 4 |
| ლატვია | 6 | 1 | 0 | 5 | 4:7 | 3 |

## G ჯგუფი

### ბულგარეთი 2:1 ბელარუსი

0:1 ვასილიუკი (5პ), 1:1 მ. პეტროვი (10), 2:1 იანკოვი (40)
**ბულგარეთი:** ივანკოვი, კიშიშევი, ტომაშიჩი, ტუნჩევი, ვაგნერი, ს. პეტროვი, ტელკისკი, იანკოვი (სირაკოვი 90), იოვოვი (ანგელოვი 68), ბერბატოვი, მ. პეტროვი (მანჩევი 84)
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
**ბელარუსი:** ჟევნოვი, რადკოვი, შტანიუკი, ტიგორევი, იურევიჩი, ა. გლები, კალაჩევი (კუტუზოვი 44), კორიტკო, კოვბა, სტრახანოვიჩი (ვ. გლები 64), ვასილიუკი (კორნილენკო 55)
მწვრთნელი: იური პუნტუსი
გაფრთხილება: კალაჩევი, ტიგორევი, კორნილენკო
მსაჯი: კრისტინ იაკობსონი (ისლანდია)
10 277 მაყურებელი

### რუმინეთი 2:0 სლოვენია

1:0 მუტუ (40), 2:0 კონტრა (70)
**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გოიანი, რაცი, ტამაში, კივუ, კოდრია (პლესანი 78), ფ. პეტრე (ნიკოლიტა 75), ზიკუ (როსუ 60), მუტუ, მარიკა
მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა
**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, ილიჩი, ჯოკიჩი (ფილეკოვიჩი 84), მავრიჩი, მორეცი, ჩეჰი, კომაცი, ვრშიჩი, ზლოგარი (მუკალო 77), ბირსა (ნოვაკოვიჩი 54), ლავრიჩი
მწვრთნელი: მატიაჟ კეკი
გაფრთხილება: ჯოკიჩი, მავრიჩი, კონტრა, ვრშიჩი, ტამაში, ზლოგარი, ილიჩი, ნოვაკოვიჩი
მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)
22 000 მაყურებელი

### ლუქსემბურგი 0:3 ალბანეთი

0:1 შკელა (25), 0:2, 0:3 კაპლანი (36, 72)
**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, ბიგარი (ლომბარდელი 46), ჰოფმანი, შტრასერი, ბეტმერი, კინციგერი, მუტში, პაიალი (და მოტა 64), რ. პეტერსი, რემი, კოლეტი (საგრამოლა 79)
მწვრთნელი: გი ელერსი
**ალბანეთი:** ბექაი, კური, დალკუ, დედე, ჰაჯი, ჩანა, მუკა (ჯაფა 77), შკელა (დურო 60), ბოგდანი, ბუში (ბერიშა 67), კაპლანი
მწვრთნელი: ოტო ბარიჩი
გაფრთხილება: შკელა, ბუში, რემი
მსაჯი: პაულიუს მალზინსკასი (ლიტვა)
4 325 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 14:4 | 17 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 15 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| ბელარუსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:15 | 7 |
| სლოვენია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:12 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 1:14 | 0 |

## შვედეთი

### თასის მერვედფინალი

*მიალბი* 1:1დ.დ. (პენ.3:2) ელფსბორგი

## ამხანაგური მატჩები

ტაილანდი 1:3 ჰოლანდია | პერუ 0:2 ეკვადორი

## ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ალბანეთი 1:0 ფარერები
ხორვატია 3:2 საბერძნეთი
უკრაინა 4:0 სომხეთი

დანია 0:1 ფინეთი
უნგრეთი 1:0 ლატვია
სან მარინო 0:3 ბელარუსი

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი




საბერძნეთმა მოლდოვა
ბოლოსდა გატეხა



მარკო მატერაცის იტალიამ
ლიტვაზე ჯავრი კაუნასში იყარა

AFP




სლოვენიას პირველი გოლი
რუმინელმა ადრიან მუტუმ გაუტანა




ფინეთ — ბელგიას თვალი ბუმაც შეავლო

AFP



რომან ვასილიუკის პენალტმა ბელარუსს ბულგარეთში ქულაც ვერ აადებინა

AFP



ესპანელმა დავიდ ვილიამ
ლიხტენშტაინს ორი
გოლი გაუტანა, მაგრამ
პენალტი გააცუდა


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიზრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუნაშვილი, ბადრი კვინიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge